# ქუჯი

„... და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა"

N 11, ოთხშაბათი 2 აპრილი-6 მაისი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი


## გიორგობას გილოცავთ გიორგიანებო



ტყვეთა განმანათლებელო, და გლახაკთა ხელის ამპყრობელო, სულთა მკურნალო, და მეუფეთა უძლეველო წმინდა-მბრძანებელო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის ამინ!



### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 1993 წლის თებერვლის მიმართვა ქართველი ერისადმი

მე არ მსურს ვინმეს გადავუღობო გზა ჭეშმარიტ ეროვნულ პოზიციაზე დადგომისაკენ, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ეს შეუძლებელია ერის წინაშე საკუთარი ცოდვების სრული აღიარებისა და მონანიების გარეშე. სხვანაირად არავინ ირწმუნებს მათ გულწრფელობას, უფრო მეტიც ხალხში განმტკიცდება რწმენა, რომ ეს არის ხუნტის მიერ ნებადართული, მართული ოპოზიცია

## საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერი, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

...საქართველოში არის უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც თავად არ მისცემს საშუალებას ხუნტას გააგრძელოს არსებობა. მოგეხსენებათ, დაფიქსირებულია ორხელისუფლებიანობა და ხუნტა იძულებულია გაუწიოს ამას ანგარიში და გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც არ სურს, მაგრამ აუცილებლად მოუწევს. ასე რომ, ყველაფერი კანონზომიერად მოხდება. თუკი ეს გზაც უნდა გაგვევლო და ეს ეწერა საქართველოს, მაშინ ის გზაც გასავლელი გვაქვს, რომელსაც აღმშენებლობა ჰქვია

### ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარესთან ბატონ ბიმურზა აფრასიძესთან

ცვლილების იმიტირებისათვის შეიძლება შემოიღონ პრემიერ-მინისტრის პოსტი, ან სხვა რამ, და შესაძლებელია ოჯახურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებითაც წავაწყდეთ რაიმე ღონისძიებას. არჩევაც არ უნდა ამ საქმეს – „ჯიბის პარლამენტი" უცებ დაამტკიცებს ასეთ კანდიდატურას.

### საუბარი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დედასთან ქალბატონ ოლღა ღღმურია-კოსტავასთან

...დედაო, ჯერ ღმერთი მიყვარსო (მერე რამდენს კითხულობდა რელიგიურ წიგნებს, და საერთოდ, ფილოსოფიურ შრომებს), მერე – ზვიადი და მერე შენო...

## გმირის დედა



# გმირის დედა

## საუბარი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დედასთან ქალბატონ ოლღა დემურია-კოსტავასთან

ქალბატონო ოლღა, თქვენ ჩვენი ეროვნული გმირის დედა ხართ და თავადაც ჩვენი გმირი ბრძანდებით. ბევრ ქართველ ოჯახს თქვენ აძლევთ მაგალითს, ქალობის, დედობის, გმირობის, სამშობლოს სიყვარულისა. ადვილი არ არის სამშობლოს სიყვარული ჩვენს დროში. მოგეხსენებათ, გმირებს ებრძვიან მტრები. და თქვენმა ოჯახმა ამ ბრძოლის ძალიან ბევრი მწარე ეტაპი გაიარა. მაგრამ ტანჯვასთან ერთად სიხარულიც განგიცდიათ... თქვენ გქონდათ ძალიან ბედნიერი ოჯახი, დიდი სიყვარული მეუღლისა, და რაც მთავარია, შესანიშნავი შვილი გყავდათ. დიდი მერაბ კოსტავას დიდი მეგობარი, თქვენს ოჯახში დადიოდა ხშირად. რა ასაკიდან დაიწყო მათი მეგობრობა?

მათი მეგობრობა დაიწყო, ჯერ კიდევ თოხწლეულში რომ იყვნენ... იმიტომ რომ ორივენი იყვნენ ხუთოსნები და რაღაცა ძალაუნებურად ერთმანეთთან საერთო ჰქონდათ.

მშობლები როგორ ურთიერთობაში იყავით, ხვდებოდით თუ არა ერთმანეთს?

ძალიან ხშირად არ ვხვდებოდით, მაგრამ ისე კარგად ვიყავით ერთმანეთთან. ხანდახან მოდიოდა დედამისი ჩვენთან, მეც ბევრჯერ ვყოფილვარ იქ.

მარტო უშვებდით მერაბს სკოლაში?

პატარები როცა იყვნენ, მეზობლის ბავშვთან ერთად მიდიოდა მერაბი სკოლაში. პირველ ვაკის სკოლაში სწავლობდა, ხომ იცით.

თქვენთან სახლში მარტო სიარულის ნებას რა ასაკიდან აძლევდნენ ზვიადს?

ო, ეს უკვე მოგვიანებით იყო. მე მგონი, მეშვიდე-მერვე კლასში რომ იყო ზვიადი, უკვე მოდიოდა ჩვენთან..

მერაბსაც ხომ უშვებდით მარტო კოლხურ კოშკში?

როგორ არ ვუშვებდი, იქ თუ არ გავუშვებდი, აბა, სად გავუშვებდი?

ქალბატონო ოლღა, ბატონი კონსტანტინე საკმაოდ ფრთხილი კაცი იქნებოდა აღზრდის საკითხში და, ალბათ, თქვენს ოჯახს კარგად შეისწავლიდა, ვიდრე თავის პატარა ბიჭს გამოუშვებდა თქვენთან, არა?

ბატონი კონსტანტინე ჯერ იცნობდა ჩემს მაზლს, როგორც დამსახურებულ მსახიობს, და ჩემი ქმარიც, როგორც მისი ძმა, იცოდა. ჩემი ქმარი სპეციალობით ფილოლოგი იყო, მაგრამ მის დარგში არ მუშაობდა. ეს იმმა გამოიწვია და იმის მდგომარეობამ. ასე რომ, კონსტანტინე გამსახურდიამ კარგად იცოდა როგორ ოჯახშიც დადიოდა მისი შვილი.


ქეთი ცერცვაძის ფოტო

რას ამჩნევდით ამ ბიჭებს, ძირითადად რა თემებზე საუბრობდნენ?

რას ვატყობდით და იმას ვატყობდით, რომ უკვე დაიჭირეს სუყველა, როდესაც იყვნენ მეათე კლასში.

სრულიად მოულოდნელი იყო თქვენთვის ეს ამბავი?

ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ეჭვი კი მქონდა, მაგრამ არ მეგონა, რომ ასე უკვე დააპატიმრებდნენ. საშინელ მდგომარეობაში ჩავცვივდით. ჩვენ გვეგონა, რომ ძალიან ცუდ პირობებში იქნებოდნენ, იმიტომ რომ მაშინ ასე იყო, ვისაც დაიჭერდნენ КГБ-ში, კარგად არ ექცეოდნენ და ამისაც გვეშინოდა. მაგრამ თურმე მჟავანაძის ცოლი და ხრუშჩოვის ცოლი ბიძაშვილები ყოფილან. რომ გაიგო ხრუშჩოვმა, რომ ამათ სტალინის წინააღმდეგ აქვთ დაწერილი, ისე გაეხარდა თურმე, რომ ჩემი ბრძანებაა გაუცია, ცხენი არ გაულახოთ. ეს ჩვენ არ ვიცოდით და ვიტანჯებოდით, საშინლად ვიტანჯებოდით.... მერე ხომ პროკლამაცია დაწერეს და გაავრცელეს ეს პროკლამაცია, ისე კი სულ გვეშინოდა. ვატყობდით, რომ რაღაცა არ მოსწონდათ ეს მთავრობა.

ბავშვობაში თუ ჩხუბობდნენ ერთმანეთში, თუ იბუტებოდნენ?

არა, მე არ მახსოვს ასეთი რამ. არასოდეს არ ჩხუბობდნენ. მერეც, მოზრდილობაში, თითქმის ყოველდღე მისი მანქანა ჩვენს ეზოში იდგა.

ცხადია, კომუნისტები პირველმაისებსა და მსგავს დღეებს შეხაროდნენ და კრძალავდნენ ეროვნულ დღესასწაულებს, თქვენს ოჯახში როგორ აღინიშნებოდა საქართველოს დიდი დღესასწაულები?

მერაბის დაბადების დღეს ყოველ წელიწადს ვიხდიდით ჩვენ. ასე იყო ყოველთვის. მერაბი დაიბადა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. და საქართველოს დამოუკიდებლობის სადღეგრძელო საგანგებოდ ითქმოდა. მერაბი რომ დაიბადა, დამოუკიდებლობის დღეს, ბიძამისმა მოიხდომა სამშობიარო სახლში მისი ნახვა. სწორედ ამ სიმბოლური თარიღისთვის უნდოდა ენახა. წამოვიდა და კარები დაკეტილი დახვდა. გადაძვრა რკინის ღობეზე, მერიდებს ეძინა. გადაიხადა იმას (სასმელი ათამაშებდა ფეხზელი ამდენს არ იზამდა), მოდა. იმ კაცს გაეღვიძა თურმე და ზარი მისცა. მთელი საავადმყოფო ფეხზე დადგა. გიჟკაცი... ჩამოიყვანეს, ისევ მირბის ზვიად, ჩემი ძმიშვილი ამაღამვე უნდა ვნახოო. მერე გამოუცხადდა და დამშვიდდა. უთხრეს, ჩვენ გიცნობთ, ცნობილი მსახიობი ხართ, რა გაგიჭირდათ ასეთი, ხვალ მოხვალთ და განახვენებთ თქვენს ძმიშვილს. მაგრამ ის იჩემებდა, რაკი 26 მაისსაა დაბადებული, მისდა მისი ნახვა ამ განსაკუთრებულ დღეს. თვითონ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იყო და ამას შესწირა კიდეც თავი.

სახელი ვის შეურჩია ბიჭს?

ეს მე დავარქვი. რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ მქონია. ისე, მიყვარდა ეს სახელი...

ჩვენც გვიყვარს ეს სახელი, ძალიან გვიყვარს.... ოლიკო დეიდა, 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით თუ გაიხსენებთ რამეს, როგორი იყო მაშინ მერაბი, სახლში როდის მოდიოდა, როგორ იქცეოდა?

სად ეცალა, საერთოდ არ შემოდიოდა სახლში... სულ იქ იყვნენ. ზვიადიც, მერაბიც...

როგორ დაიჭირეს მაშინ მერაბი?

მერაბი, მე მგონი, გზაზე დაიჭირეს. სახლში მოაკითხეს და არ იყო შინ. და მერე გზაში დაიჭირეს... საშინელი ამბავი მოხდა. შემოვიდა ტანკებით რუსის ჯარი და მშვიდობიანი მიტინგი დაარბია. დახოცა ხალხი. რა ამბავი იყო, რა ამბავი.... საშინელება ნახეს, საშინელება, მაგრამ სწორედ ამან გამოიწვია მათი დამარცხება. ორმოცი დღე ჰყავდათ დაჭერილი, მერე ცეკას მდივანი რომ გამოიცვალა (გუმბარიძე დანიშნეს), იმას გაათავისუფლა.

თქვენ ალბათ ძალიან განიცდიდით, დასაჭერად რომ აკითხავდნენ თქვენს შვილს, თან ეს არც ისე იშვიათად ხდებოდა.

დედა, შიშის მეტს რას განვიცდიდი. ძალიან მეშინოდა.

უშლიდით ხოლმე ამ ბრძოლას?

ჰო, მიჩვეული ვიყავი, შვილო. ჩემი მაზლი მასეთი იყო, მამამისიც მაგ აზრის კაცი იყო, ჩემი ქმარიც მასე ფიქრობდა... მოდა. მართალია, ვუშლიდი, მაგრამ მაინც გულში ვაფასებდი.

თქვენ ზვიადთან როგორი ურთიერთობა გქონდათ, გულახდილი იყო თქვენთან?

ზვიადთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა. ყოველდღე ჩვენთან იყო, მისი მანქანა აქ ეზოში იდგა. სულ ისხდნენ, ჩუმად ლაპარაკობდნენ... მეშინოდა, რაც დაიჭირეს, სულ მეშინოდა, ხომ გააგრძელებს ეს ამბავი...და მეშინოდა, კიდევ არ დაიჭირონ-მეთქი.

როდის ასწრებდნენ ასეთი დაკავებული ახალგაზრდა კაცები ამდენ კითხვას?

მერაბს მე ისეთ ყურადღებას ვაქცევდი. ყოველდღე ხუთიანზე მიქონდა გაკვეთილები სკოლაში, ყოველთვის გაკონტროლებული იყო. სულ ხუთოსანი იყო და რომ მივდიოდი მასწავლებლებთან სკოლაში, გახარებული მოდიოდა უკან. სულ უქებდნენ, არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბიჭიაო. და წესიერიც იყო... ამისთანა ხალხი წესიერიც არის. იცით, თავისუფლებაზე, პოლიტიკაზე რომ ფიქრობს, ის ხალხი წესიერიც არის. მაგრამ მერაბს ზვიადი მიაჩნდა პირველად, ზვიადმა გაგვიხსნა თვალი და დაგვანახვა, რა დღეშია ჩვენი საქართველო, დამოუკიდებელ საქართველოს თხოულობდნენ ეგენი.

მერაბს როგორი ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან?

მერაბს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან. ისინიც ძალიან უყვარდათ, იცოდნენ რომ ხუთოსანი იყო მერაბი და იცოდნენ, რომ ძალიან დიდი მუსიკოსი იყო. მერაბი დიდი მუსიკოსი იყო, შვილო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

### განცხადება

რუსეთის სამხედრო ძალების, სპეცსამსახურებისა და ადგილობრივი კრიმინალების მეშვეობით 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განიდევნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა, გაუქმდა კონსტიტუცია, ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები. უკანონო რეჟიმის მიერ ხელისუფლების უზურპირებით ფეხქვეშ გაითელა საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობის ნება, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმები, ეუთოს, ევროსაბჭოს რეზოლუციები, აქტები, კონვენციები, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დევნილობაში, 1992 წლის 13 მარტს ქ. გროზნოში გამართულ სესიაზე მიიღო

"1. 1991 წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება;

2. არაკანონიერი სტრუქტურების შექმნა კვალიფიცირებული იქნეს, როგორც ხელისუფლების უზურპაცია;

3. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ;

4. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორების მოქმედება კვალიფიცირებული იქნეს, როგორც სამშობლოს ღალატი..."

ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინების საფუძველზე საქართველოს ე.წ. ხელისუფლება უკანონოა, რის შესახებ ეცნობა საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ლეგიტიმური ხელისუფლება, იურიდიული თვალსაზრისით, დღესაც განაგრძობს არსებობას, რადგან სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, უზენაეს საბჭოსა და მთავრობას, მიუხედავად 1991-92-93 წლების ოკუპაციისა (1918-21 წლების დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ანალოგიურად) კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერიათ.

საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლებაში მოსული ხუნტა პირველივე დღეებიდან ცდილობდა საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველთა 87%-ის მიერ არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციას და ლიკვიდაციას, კერძოდ, 1992 წელს ხუნტის შინაგან საქმეთა მინისტრის რ. გვენცაძის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ს. კავსაძის და სხვათა გატაცებაში ზვიად გამსახურდიას დადანაშაულებას, რაც შევარდნაძის მიერ იყო ორგანიზებული. ამის შესახებ თვით რ. გვენცაძემ აღიარა გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში (გაზეთი "ახალი თაობა", 2001 წლის 22 აპრილი N108), 1992 წლის 24 ივნისს ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობაში შეჭრაც შევარდნაძის მიერ იყო ინსპირირებული. აღნიშნული პროვოკაციების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ჩაუშალეს გამოსვლები გაეროში და სხვა საერთაშორისო ფო

1993 წლის სექტემბერში სამშობლოში დევნილობიდან დაბრუნებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და კონსტიტუციური უფლებებისათვის მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ შევარდნაძის ხუნტამ გამოიყენა უცხო ქვეყნის, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები - ამიერკავკასიის ოლქის ჯარები. შავი ზღვის სამხედრო ფლოტი. 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიაში მონაწილე ძერჟინსკის სახელობის დივიზია, რის შედეგადაც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება ხელმეორედ იქნა დამხობილი. ხუნტის მიერ ჩადენილია საუკუნის დანაშაული – უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების გამოყენებით ხელყვეს ეროვნული სუვერენიტეტი. 1994 წლის 1 იანვარს საქართველოს ტერიტორიაზე, ხობის რაიონის სოფ. ხიბულაში, მოკლულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

1994 წლის 2 აპრილს ქ. გროზნოში, სესიაზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ჩადენილ დანაშაულს შემდეგი შეფასება მისცა: " საქართველოს თავისუფლების მტრებმა – რუსეთის ნეოიმპერიალისტური ძალების სპეცსამსახურებმა და მათმა ადგილობრივმა აგენტურამ განახორციელა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მკვლელობა".

საქართველოს რესპუბლიკის უკანონო ხელისუფლების უშიშროების მაღალჩინოსნებმა ა. თოსელიანმა (2001 წლის 9 აპრილი, ტელეკომპანია "რუსთავი-2") და ი. გიორგაძემ (რუსეთის ტელეკომპანია "ტვც", 2001 წლის 15 აპრილს) აღიარეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციაში შევარდნაძის დავალებით მონაწილეობდნენ რუსეთის სპეცსამსახურები და უშიშროების ადგილობრივი ძალები.

შევარდნაძის რეჟიმის მორჩილი ჟურნალისტები პრესაში სხვადასხვა პასკვილებით ("შანსი-პლიუსი", "ასავალ-დასავალი", "ალია", "ახალი თაობა", "არგო", "[illegible]", "ფაქტი"...) ე.წ. დოკუმენტური ფილმებით (ტელეკომპანია "რუსთავი – 2", პირველი არხი – "[illegible]") ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის თვითმკვლელობის ვერსიის დამტკიცებით ცდილობენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციას და ხუნტის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვას.

საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება მოითხოვს, რომ საერთაშორისო სამართლის ორგანიზაციების მიერ (ჰააგა, სტრასბურგი) 1992 წლის 2 აპრილის გროზნოს სესიის გადაწყვეტილებისა და შევარდნაძის ხუნტის უშიშროების შეფების აღიარებების საფუძველზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების პარლამენტების და მთავრობების, გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს თანადგომით შესაძლებელი გახდება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ობიექტური გამოძიება და დამნაშავეების სათანადოდ დასჯა.

| | |
|---|---|
| საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი |
| დ. გოგაძე | მ. არჩვაძე-გამსახურდია |

თბილისი, 2001 წლის 23 აპრილი

## ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრთან, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერთან ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან

*ქალბატონო მანანა, ჩვენ დღეს არა ერთ თემას შევეხებით და თქვენს პირად ცხოვრებასაც ძალიან შევეხებით(?) ჩემი შეკითხვებით... ზოგი რამ გამიგია თქვენი მშობლების შესახებ, კედლებზეც - მშვენიერი პორტრეტებია, აქაურობასაც ეტყობა მათი პატივისცემა და შთამომავლობისადმი(?). იქნებ მშობლების შესახებ გვიამბოთ რამე?*

ჩემი წინაპრები ჩემი სიამაყეა. ჩემი დიდი ბაბუები მებრძოლები იყვნენ. ფოტოებზეც ჩანს მათი საგანგებო აღჭურვილობა. ჯერ ვსაუბრობ არჩვაძეების გვარზე. წინაპართა საქმეების ცოდნას მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. საქართველო არ მოკვდება მაშინ, თუ შთამომავლობაში არ მოკვდება ტრადიცია... ჩვენს გვარში იყვნენ მებრძოლებიც, სასულიერო პირებიც (ფოტოებიდან ბევრი დაკარგულია ამდენი დარბევისა და ძარცვის შედეგად). ბაბუას სახლი ვერაზე გახლდათ. ეს კი, სადაც ახლა ვცხოვრობთ, მამაჩემის სახლია. ყველაფერი გაიფანტა, ყველაფერი გაიტანეს და მხოლოდ ეს სურათები დაგვრჩა... ერთი ბაბუ პოლიტიკური ფიგურა იყო. პოლონეთში "თეთრი გვირილის" ორგანიზაცია არსებობდა და იმისი თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ (სამხედრო არ ყოფილა, პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა). ძალიან საინტერესო ცხოვრება ჰქონია. თეთრი გვირილის ემბლემიან ფორმაში დადიო ფოტოსურათებიც გვაქვს. მისი შთამომავალი იყო ბაბუაჩემი, სხვები დიფანტნენ. 30 წლამდე ასაკში მოკლეს მამაჩემის მამა. მას დარჩა სულ პატარა შვილები, ექვსნი, ბებია იყო გიორგობიანი, მან მარტომ გაზარდა შვილები. სამი ბიძა რეპრესიებში დამიხვრიტეს. ორი მამიდა მყავდა. ერთი მამიდა პატარა იყო, როდესაც ბაბუაჩემი მოუკლავთ, ამ ზაფრას ცოტა ხანში მამიდაჩემიც გადაჰყოლია. მამაჩემს დამთავრებული აქვს ხარკოვში ეკონომიკის ფაკულტეტი. როდესაც დაბრუნდა საქართველოში, დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სამშენებლო ეკონომიკის ფაკულტეტი. მერე განათლების სისტემაში მუშაობდა, შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამშენებლო ორგანიზაციაში.


კარლო სალუქვაძის ფოტო

*კი მაგრამ, რესტორანი თუ სახინკლე ჭორებია?*

რომელი რესტორანი? ჩემს ოჯახს რესტორანთან საძლეილად არ ჰქონია საქმე. რესტორნები ხომ ამათი საქმეა? ერთხელ აეროპორტში მგზავრობისას გავიგონე, ეს მაღაზია ვისიაო და, ნიკუშასიო, ამბობდნენ. ადრე მაღაზია სირცხვილად ითვლებოდა და ახლა თავიც მოაქვთ ამით. ახლა რესტორნები, სახინკლეები, საპარიკმახეროები და სასტუმროები სულ ახლანდელი მინისტრებისა და პარლამენტარების ყოფილა...

ბებია მყავდა თურმე ძალიან ძლიერი ბუნების ქალი, სულ შეხლა-შემოხლა ჰქონია კომუნისტებთან. ჩემი ბიძაშვილი მეუბნებოდა, ბებიაშენის გასახსენებელი სარო... თუმცა მე ბებია არ მახსოვს...

*დედა რაგვარისა იყო?*

მამაჩემს დამთავრებული აქვს ხარკოვში ეკონომიკის ფაკულტეტი. როდესაც დაბრუნდა საქართველოში, დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სამშენებლო ეკონომიკის ფაკულტეტი. მერე განათლების სისტემაში მუშაობდა, შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამშენებლო ორგანიზაციაში

დედა იყო სულხანის ქალი. დიდი წარსულის გვარი ყოფილა. თამარ მეფის კარზე. "ქართლის ცხოვრებაში", მოხსენიებულია ერთი სულხანიძე. ეს ზვიადმა აღმოაჩინა კონსპექტში, როცა გადასახლებაში ვიყავით. არჩვაძეები აზნაურები არიან. ჩემი ბებია, ბაბუა, ბიძები, ყველანი დაკრძალულნი არიან ტაძრის ეზოში. ტაძრის ეზოში ყველა არ იკრძალებოდა. თავად სოფელი ფუტიეთი, საიდანაც ჩვენ ვართ წარმოშობით, საინტერესოა თავისი ისტორიით. აქ მოხდა აჯანყება მეფის რუსეთის წინააღმდეგ. 2000 ბერი აჯანყდა. წარმოიდგინეთ, 2000 წმინდა ადამიანი... მერე მათ შემოუერთდნენ გურიიდან, იმერეთიდან და ძალიან მასშტაბური სახე მიიღო. ეს სოფელი ახლა სხვანაირია. ადრე კი ის იყო ტაძრებითა და კოშკებით შემკული. ზვიადმა მაჩვენა უცხოელი მოგზაურის კუთვნილი ძველი სურათი ამ სოფლისა. ეს იყო ულამაზესი რამ... თურმე უცხო პირს ფეხზე უნდა გაეხადა, ვიდრე ამ სოფელში შევიდოდა. იმდენად წმინდად ითვლებოდა ის მიწა. ფეხშიშველნი შედიოდნენ. ცუდ ამინდში კი ფეხსაცმელს იქვე წყაროს წყალში გარეცხავდნენ და ისე შედიოდნენ. წარმოიდგინეთ, ორი ათასი ბერი დაეცა სიმართლისათვის... რა წმინდა ადგილი იქნებოდა.

დედის მხრიდანაც ექვსნი იყვნენ, სამი და და სამი ძმა. ყველა ძალიან ღირსეული პიროვნება. ესენი არიან ექიმები და ინჟინრები. ერთი ბიძა მარტო ისტორიკოსი. რომ იცოდეთ რა მშვენიერი და რომანტიკოსი პიროვნებაა... ყოველთვის აღნიშნავს, რომ დაბადებიდან დისიდენტია, რადგან ამათ ვერასოდეს ეგუებოდა... დედა თერაპევტი იყო, მაგრამ მუშაობდა სულ ცოტა ხანი. მე მესამე ქალიშვილი ვიყავი და თურმე დედაჩემს გულიც დაწყდა, რომ ვაჟი არ გაუჩნდა. მამაჩემი სრულიად მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. და დედაჩემს ეხუმრებოდა ხოლმე, რატომ გაღელვებდა ჩემზე მეტად არჩვაძეების გვარის გაგრძელებაო. ბებია (დედის დედა) სხირტლაძე გახლდათ. გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, სიცოცხლის ბოლომდე სალხურ მედიცინას მისდევდა და დიდი წარმატებითაც... ბაბუაჩემი კი იყო ნავთობრეწვის ინჟინერი. ბაქოშიც ჰქონდა ბაზები და ბევრს მოგზაურობდა. საუკეთესო მცოდნე იყო თავისი საქმისა. იცოდა სპარსული, თურქული...

*ქალბატონო მანანა, ჩვენ დავუშორდით სამწუხარო რეალობას, რომელიც ჩვენს გარშემოა. და აღარც მინდა დავბრუნდეთ იმ სინამდვილეში, სადაც არის ჩვენი სამშობლოს დღევანდელი გაუსაძლისი ყოფა... ამიტომ ეს საუბარი მომავლის თემით დავასრულოთ.*

მომავლის თემა არ არის რაიმე მოწყვეტილი. ეს უკვე ხვალინდელი დღის თემაა. საქართველოში არის უკიდურესი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც თავად არ მისცემს საშუალებას ხუნტას გააგრძელოს არსებობა. მოგეხსენებათ, დაფიქსირებულია ორხელისუფლებიანობა და ხუნტა იძულებულია გაუწიოს ამას ანგარიში და გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც არ სურს. მაგრამ აუცილებლად მოუწევს. ასე რომ, ყველაფერი კანონზომიერად მოხდება. თუკი ეს გზაც უნდა გაგვევლო და ეს ეწერა საქართველოს, მაშინ ის გზაც გასავლელი გვაქვს, რომელსაც აღმშენებლობა ჰქვია.

*გამოჩნდა ახალი, ეროვნულის სახელით წარმოჩენილი მოძრაობა. ეს პროცესი მართულია და ვინც მართავს, როგორც ჩანს, იმედოვნებს, რომ შეიძლება გაითამაშოს ისეთი სცენარი, რომელსაც "არ დასჭირდება" სამართალმემკვიდრეების აღდგენა.*

თავად ხუნტამ დაამტკიცა, რომ მას არ შეუძლია არსებობა. მისი იდეოლოგია ეყრდნობა საქართველოს გასისხლებას. დღეს უკვე ხუნტა იძულებულია დათმოს თავისი პრივილეგიები. ჩვენ კი გვაქვს კანონიერების აღდგენის მექანიზმები – უზენაესი საბჭო, მრგვალი მაგიდის მემორანდუმი, ორხელისუფლებიანობა. უახლოეს ხანებში ჩვენ უნდა დავაყენოთ საკითხი, რომ მსოფლიომ სცნოს უზენაესი საბჭო როგორც სამართალსუბიექტი. მართალია, ადრე სახელმწიფოების მთელმა რიგმა არ გაითვალისწინა კანონიერი ხელისუფლების გაფრთხილებები და დადგენილებები. უცხოეთი, როცა საქმე დაიჭირა ხუნტასთან, იმედოვნებდა, რომ ეს სახელმწიფო რაღაცით მაინც დაემსგავსებოდა ქვეყანას. მაგრამ ეს არ მოხდა. ახლა ამ ყველაფერს იურიდიული ძალის არქონასთან ერთად ფაქტობრივადაც უუნარობა ახასიათებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი არავითარ შემთხვევაში არ იგუებს ასეთ ქვეყანას. სავალუტო ფონდის წევრობის გადასახადს ესენი ვერ გადაიხდიან. მრავალი წარმატებული ქვეყანაც კი არ არის სავალუტო ფონდის წევრი, რადგან დიდ გადასახადებს გაურბის. აქ არ არის არც სიმშვიდე და არც სიმდიდრე... კრიმინალური ვითარებაა. უცხოელებს იტაცებენ, ხოცავენ, ძარცვავენ...

*ქალბატონო მანანა, თქვენ ბრძანეთ და არ შეიძლება ვისმე არ დაეთანხმოთ, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება ხაშინდელ კრიზისშია, მაგრამ ამასთანავე ცხადია, რომ ისინი ადვილად არ დათმობენ ასეთი სისასტიკით მოპოვებულ ძალაუფლებას. შეიცვალა თუ არა უცხოეთის სახელმწიფოთა დამოკიდებულება უზენაესი საბჭოს საქმიანობის მიმართ? თუ გადმოდგეს ნაბიჯები კანონიერების აღდგენისათვის მხარდაჭერის მიმართულებით?*

მე ჯერ საკანონმდებლო ორგანოზე გავამახვილე ყურადღება, მაგრამ აღმასრულებელ ორგანოს არა ნაკლები დატვირთვა აქვს. დღესდღეობით მოგეხსენებათ, რომ მინისტრთა კაბინეტი განაგრძობს მუშაობას. უზენაესი საბჭოს მსგავსად ატარებს სხდომებს და გამოაქვს განსახილველად საკითხები, რომელთაც ხუნტა შეგნებულად არ წყვეტს. ჩვენი ამოცანაა არა მარტო ამა თუ იმ საკითხის განხილვა უზენაესი საბჭოს მიმართ, არამედ შთამომავლობისათვის იმ საკითხების დაფიქსირება, რომელთაც დღევანდელი ხელისუფლება ყურადღებოდ ტოვებს ან ჩქმალავს. ჩვენ იძულებულს ვხდით ხუნტას, რომ რეაქცია მოახდინოს ჩვენს მოქმედებებზე და შესაბამისად, ვამხილოთ ისინი მსოფლიოს წინაშე. რაც შეეხება უცხოეთს, მართალია, ისინი ერთხანს არ იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობით, მაგრამ თანდათან შეცვალეს დამოკიდებულება. რაც ხდებოდა საქართველოში, უამრავი უცხოელი მიმდია, მაგრამ რა შედეგებიც მოიტანა ამ შეხვედრებმა, დღეს გამოჩნდა: ამათ ხელს არ უწყობენ ეკონომიკურად, არავითარი დახმარება არ მოსდით. ჩვენმა მხილებებმა აქ ბევრი რამ განსაზღვრა. ჩვენ ვატყობინებდით სამართალდარღვევათა შესახებ. კერძოდ, რომ დიდძალი დახმარებები მოსახლეობამდე ვერ აღწევს, რომ ეს თანხები კერძო პირების ხელში ხვდება. მრგვალმა მაგიდამ დიდი სამუშაო შეასრულა ამ მხრივ. განსაკუთრებით 1998 წლიდან. მაღალი რანგის პოლიტიკოსებთანაც გვქონდა შეხვედრები... რასაკვირველია, ახლა ძალიან გაუძლიერდა ხსიები და ყოველი სხვის შედეგები თვალსაჩინოა და იგზავნება დანიშნულებით. მართალია ამერიკის დეპარტამენტის განცხადებაში ბევრი რამ არასწორი წყაროების საფუძველზეა გაშუქებული, მაგრამ ფაქტია ერთი რამ, რომ ისინი უკვე ოფიციალურად აღიარებენ საქართველოში შექმნილ სიტუაციას და აღარ აპირებენ ურთიერთობის გაგრძელებას მათთან. ვინც დააპირისპირა არა ქართველი ერი, არამედ – სახელმწიფოები. შევარდნაძე რუსეთისაგან დავალებული აღმოჩნდა იმით, რომ პუტჩის დროს დახმარება მიიღო რუსეთისაგან. შემდეგ მან ევროპასა და ამერიკას იგივე აღუთქვა. და მათაც ამდენი თანხები შემოიტანეს საქართველოს ახალგაზრდობულად, მაგრამ ამაოდ. აი, დადგა მომენტი არჩევანისა. ახლა უნდა საბოლოოდ გადაწყდეს ვისი ინტერესები

ჩვენ კი გვაქვს კანონიერების აღდგენის მექანიზმები – უზენაესი საბჭო, მრგვალი მაგიდის მემორანდუმი, ორხელისუფლებიანობა. უახლოეს ხანებში ჩვენ უნდა დავაყენოთ საკითხი, რომ მსოფლიომ სცნოს უზენაესი საბჭო როგორც სამართალსუბიექტი

(გაგრძელება მე-4 გვერდზე...)

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 1993 წლის თებერვლის მიმართვა ქართველი ერისადმი

მე არ მსურს ვინმეს გადავუყენო გზა ჭეშმარიტ ეროვნულ პოზიციაზე დადგომისაკენ. მაგრამ ყველამ უნდა ახსოვდეს, რომ ეს შეუძლებელია ერის წინაშე საკუთარი ცოდვების სრული აღიარებისა და მონანიების გარეშე. სხვანაირად არავინ იწამებს მათ გულწრფელობას. უფრო მეტიც ხალხში განმტკიცდება რწმენა, რომ ეს არის ხუნტის მიერ ნებადართული, მართული ოპოზიცია და აქვს არაპატიოსნური მიზანი, ვიდრე პუტჩი და გადატრიალება იყო, ვინაიდან დღეს ქართველი ხალხის ლიდერად, ოფიციალური იმედებით მისი გამამხილე, ქვემოთ ორიდან გამომდგარი არაპატიოსანი ღალატი, ვიდრე მისთვის კანონიერი ხელისუფლების წართმევა და პროიმპერიული ძალების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

ბატონებო! 9 აპრილის მოძრაობა გააგრძელა "მრგვალმა მაგიდამ", რომელმაც ჩაატარა ისტორიული მნიშვნელობის პირველი მრავალპარტიული არჩევნები, თქვენს მიერ ბოიკოტირებული (და არა მხოლოდ რეფერენდუმი), რითაც უსისხლოდ დაიწყო საქართველოში კომუნისტური წყობა და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩაატარა კონსტიტუციური რეფორმა, ძირეულად შეიცვალა არსებული კონსტიტუცია, იგი ეროვნულ, დროებით კონსტიტუციად იქცა და ამზადებდა დამოუკიდებელი საქართველოს ახალ კონსტიტუციას, რაც თქვენ ჩაშალეთ, ბატონებო! ეროვნული ფორუმი არ გახლდათ, იგი დახვრიტეს ჭეშმარიტმა ეროვნულმა ძალებმა მას შემდეგ, რაც იგი "მხედრიონის" ბანდამ ჩაიგდო ხელში, რომლის მარიონეტებად იქეცით თქვენ. შემდეგ კი მიეკედლეთ ხუნტის მიერ შექმნილ "ეროვნულ კონგრესს" და ერთ-ერთი ყველაზე მავნებელი ძალის, ე.წ. ეროვნულ-დემოკრატიული (სინამდვილეში ანტიეროვნულ-პროკომუნისტური) პარტიის ეგიდის ქვეშ განაგრძობდით ბრძოლას ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. უბადლებული "24-ე რეზოლუციაც" თქვენი ერთობლივი ძალისხმევით იშვა. თქვენ აქტიურად მონაწილეობდით 2 სექტემბრისა და 4 ოქტომბრის მსგავს პროვოკაციულ აქციებში. თქვენ მათთან ერთად შეიმუშავეთ მათი საქართველოში ყოფილიყო არსებული "დიქტატურის" და ტოტალიტარიზმის შესახებ. თქვენ ტამს უკრავდით ამ ლეგენდებით და მილეტატებით მიერ შეთითხნილ ხიტრუქს "გამსახურდია-შევარდნაძის", "გამსახურდია-იანაევის" ალიანსის შესახებ. სინამდვილეში კი მათთან ერთად ჩამოიყვანეთ შევარდნაძე საქართველოში. თქვენ მათთან ერთად მოამზადეთ გადატრიალება, რომელმაც საქართველოს დააკარგვინა დამოუკიდებლობა, დამსჯელების ჯარის მოუსხნა საოკუპაციო ჯარის სტატუსი და დააკანონა მისი ყოფნა სამანქო ზონაში ანუ "ესენგე"-ში (ლეგიტიმ). დიახ, ყველამ კარგად ახსოვს, რომ ამ ახალი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთთან და თბილისის ზღვასთან ალიანსში მყოფი, კანონიერი პარლამენტის შიგნიდან ამფეთქებელი, დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტჩის დროს გაიქცა ლეგაქალაქში ყოფილი ტყვემყოფობის საბაბით, რათა დაერწმუნებინა დასავლეთ საქართველოს აბობოქრებული მოსახლეობა, პრეზიდენტსა და პარლამენტს არავითარი უფლება, ნუ წახვალთო მათ დასახმარებლად. კარგად გვახსოვს აგრეთვე კანონიერი ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის ფარული ალიანსი შევარდნაძესთან და პუტჩისტებთან, ტელევიზიასთან, შეჟანაშვილზე და თბილისის ზღვაზე მისი "მოღვაწეობა".

მეგობრებო, სანამ ისინი არ აღიარებენ ერს სიმართლეს თავიანთი უკეთური საქმიანობის შესახებ, ქვეყნის მტრებთან თავიანთი ალიანსის შესახებ, სანამ საქმით არ გამოისყიდიან თავიანთ დანაშაულებს, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი წარმოადგენენ არა ახალ ოპოზიციას არსებული ოკუპანტური ხელისუფლების მიმართ, არამედ ამ ხელისუფლებისა და ცენტრის მიერ შექმნილ მესამე ძალას, რომელიც სჭირდება ცენტრს ახალ დასავლეთად მოსალოდნელი კატაკლიზმების

ვ ე მ ი ხ ე ე

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

იქნება გათვალისწინებული საქართველოში. და გაირკვა, რომ საქართველო რუსეთისაკენ გადაიხარა. არ ვიცი, შეეშალა უცხოეთს შევარდნაძის შეფასება, თუ შეგნებულად დახუჭეს თვალი მის მოქმედებებზე. მაგრამ, ალბათ, უფრო შეეშალათ. მაგრამ ახლა ყველაფერი საამკარაოზე გამოვიდა: რუსეთი იმას, ვინც გაზარდა და ვისაც მრავალი დავალება შეასრულებინა (ჩვენ ხომ ვიცით, საგარეო საქმეთა მინისტრად როცა ინიშნება პიროვნება, რა ფილტრი უნდა გაიაროს, რა დავალებები შეასრულოს და რა დოკუმენტებზე უნდა მოაწეროს ხელი), არასოდეს მოუშვებს. თუ გახსოვთ, კარაულოვის ერთ გადაცემაში იქ ოცამდე პიროვნება მონაწილეობდა, რომლებმაც პირდაპირ ეთერში მიიტანეს შევარდნაძეზე. შევარდნაძე ჩვენ შევქმენით, როგორც პოლიტიკური ფიგურა და ამჟამად მისგან მოტყუებულნი ვართ, ამას კი არ ვაპატიებთო. და ამიტომაც აღმოჩნდა შევარდნაძე იძულებული წასულიყო "ნულოვან ვარიანტზე".

*ქალბატონო მანანა, გასაგებია, არავის დაუჭერს მხარს შევარდნაძეს, მაგრამ ხომ შეიძლება რაღაც მის მაგვარს, ანუ "შევარდნაძე მეორეს" დაპატრონდნენ?*

შევარდნაძემ შეცდომაში რუსეთიც შეიყვანა. იგი იმპერიას კავკასიის ჟანდარმის როლის შესრულებასაც ჰპირდებოდა, რომ იქნებოდა კავკასიაში პირველი პირი. მაგრამ ეს პირობა ვერ შეასრულა. თუ გაიხსენებთ ზვიად გამსახურდიას მიერ შემოტანილ პროგრამას კავკასიის საერთო სახლის შესახებ, რომელსაც შემდეგ შევარდნაძე დაეპატრონა, თითქოს მისგან მოდიოდა ეს იდეა. "[illegible]"-მაც აღნიშნა, რომ შევარდნაძემ ყველას ყველაფერი მოჰპარა, მათ შორის, ზვიად გამსახურდიასაც, და აღნიშნული იყო სწორედ ეს მომენტი კავკასიის "მრგვალი მაგიდის" შექმნასთან დაკავშირებით. საუბარია არა მარტო საქართველოზე, არამედ ზეგავლენის სფეროებზე, რომლებიც ეხება მთლიანად კავკასიას. რუსეთი თავისთავად გულგრილი ვერ იქნება იმ ტერიტორიების მიმართ, რომელსაც ადრე სრულად განაგებდა. ამიტომ შევარდნაძის მეშვეობით ის მოიტაცებს ჩვენს ხომლიდრეს. ამის შედეგია, შევარდნაძის უარი საქართველოს წილზე, რუსეთის ქონებაში. და დღეს ცდილობენ თქვან, რომ ეს იყო ყველაზე ბრძნული ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა. "ნულოვანი ვარიანტი" გვაქვს ნებისმიერ შემთხვევაში. ამას არჩევა არ სჭირდება, ისედაც ნულზე ვართ. და ნულის აღიარება არ ნიშნავს რაიმე მოგებას. უხარიათ, რომ პარიზის კლუბმა გადაგვივადა ეს ვალები რამდენიმე ათეული წლით. არ ესმით, რომ ეს გაზრდის ჩვენს ვალებს ოთხმოც პროცენტამდე. წარმოიდგინეთ ორნახევარჯერ მეტი რომ გახდება ეს გადასახადი... ეს ნაბიჯი შევარდნაძემ სწორედ იმის გამო გადადგა, რომ რუსეთისაგან ჰქონდა ზეწოლა. მას საშინელი შიში აქვს, აქ ჩადენილი უამრავი ისეთი დანაშაულებრივი აქტის ფიზიკური და დოკუმენტური საბუთები არსებობს, რომ, ამას ვერსად გაექცევა. შენი მოწინააღმდეგე ყოველთვის შეეცდება, ყველაფერი გამოიყენოს და ისე გატეხოს. არავის ეგონოს, რომ შევარდნაძემ თავი გადაირჩინა. ცოტა ხანში ყველა გახდება მოწმე, თუ რა საშინელ ქისაში აღმოჩნდება. ვერ დააღწევს ყურადღებას თავს. ვინც უღიმღამოდ თავის გაილო, ის თავისას მოსთხოვს. ჩვენ, ცხადია, შევარდნაძის ვალების გადახდაზე უარს განვაცხადებთ, რადგან გადავიხდით იმას, რაზედაც ჩვენ არ მოგვიწერია ხელი. ისევ შევარდნაძეს და მის ბანდებს უნდა მოეკითხოს. მათ რომ კეთილმოსურნე მრჩეველი ჰყავდეს, იცოდეს, რომ მან უნდა დათმოს ეს ხელისუფლება. მაგრამ ახლოს მრჩეველი არ ჰყავთ. ამიტომაც გიდამკვიდრებენ ძალაუფლებას და ხელ უფრო იმძიმებენ მდგომარეობას. ახალი ძალებიც, "ერთიანი ძალთა გაერთიანების" სახით, არის მრავალი და მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე გაიხანგრძლივონ არსებობა...

*და რამდენად რეალურია ეს?*

ეს მოკლებულია საფუძველს. ის პიროვნებები უნდა სარგებლობდნენ ხალხში ავტორიტეტით და იმ საქმეებით, რაც მათ გასწიეს ქვეყნისათვის. და ვალიერ

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

# ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარესთან ბატონ ბიმურზა აფრასიძესთან

*ბატონო ბიმურზა, ჩვენ ვხედავთ, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება (თუ მის მიერ გამოყვანილი სტატისტები, რომლებიც განასახიერებენ სახელმწიფოს მართვას) ქმნის პიროვნებას ან ჯგუფს, რომელიც გარეგნულად უპასუხებს იმ მოდელებს, რომელსაც ქვეცნობიერად, თუ სრულიად ცნობიერად მთელი ხალხი, ვისაც მოსახლეობა თავის წინამძღოლობას ანდობს. მათ სხვადასხვა ვარიანტი მოსინჯეს. ამ მიზნით სცენაზე გამოიყვანეს ხან მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა წევრები, ხან პატრიოტული სიტყვების წარმომთქმელი პოპულისტები, ხან გაზეთის გარშემო დააჯგუფეს ადამიანები... სცადეს, ე.წ. იარაღიანი "გმირების" შექმნაც... ერთი სიტყვით, ნაკლებად ცდილობენ შემოგვთავაზონ ძველი კანდიდატურები, მაგ. რეფორმატორები, მახარობლები, ნომენკლატურა, რომელიც მათი აქტივობის წინა ეტაპზე, ე.ი. პუტჩის დროს უკვე იქნა გამოყენებული და დისკრედიტირებულია ხალხის თვალში.... ამასთანავე, არსებობს რეალური უზენაესი საბჭო, რომელსაც ვიდაც სასწრაფოდ უნდა დაუპირისპირონ, რომ ეს კრიზისულად მომწიფებული სიტუაცია შეცვალონ ზემოდანვე. მათთვის მისაღები სახით და ამით ცეცხლითა და მახვილით მოპოვებული პრივილეგიები შეინარჩუნონ. როგორ ფიქრობთ, ვის შეიძლება შემოგვთავაზონ ახლა?*

მართლაც, მათ მრავალგზის სცადეს ფსევდოოპოზიციონერების შემოყვანა. ახლა საზღვარგარეთის სერიოზული პოლიტიკური წრეები და კვლევის ცენტრები აცხადებენ, რომ საქართველოს დღევანდელი მოქალაქეობის 80%-ს საბჭოთა ნომენკლატურა შეადგენს. ამიტომაც დაიწყეს ე.წ. რეფორმატორების გამოყვანა. ეს უბრალოდ ტერმინების თამაშია, რადგან იქ, სადაც ასეთი კლანური ოლიგარქები ბატონობენ, იქ არავითარი ნიადაგი არ არსებობს დემოკრატიული და რეფორმატორული საქმიანობისათვის... სადაც კორუმპირებულთა ჯგუფი ერთმანეთზეა გადაბმული. მათი მხრიდან რეფორმები "რეფორმატორობანას" თამაშია და სხვა არაფერი. თვალის ასახვევად რაღაც აქციები (მაგ. ხურტის თაობაზე წყნეთის აქცია) არსს არ ცვლის. მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიარეს საქართველო, შეამოწმეს პენიტენციალური სისტემა მთლიანად, მანამდე იყვნენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და აღმოჩნდა, რომ საქართველოში სხვა რესპუბლიკებთან შედარებით უმძიმესი მდგომარეობაა. წარმოიდგინეთ, შუა აზიის ქვეყნებზე უარესი აღმოჩნდა. ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც კი, რომლებიც საიკაშვილთანაც კარგ ურთიერთობაში არიან, გულ შემოუკრავთ, როცა ჩვენს ვითარებას ნახავდნენ. გახსოვთ, ალბათ, გადაცემა, სადაც მათ აღიარეს ეს საშინელი ვითარება. არსებობს კონკრეტული შეფასებისა და აქ კონკრეტულად საქართველო ყველაზე უბადრუკ სურათს ქმნიდა პენიტენციალურ სისტემაში.

> "ახალ ძალთა გაერთიანებაში" ერთ ნაწილს სრულიად კანონიერად შეწყვეტილი აქვს უზენაესი საბჭოს წევრობა (თუმცა თავს ზოგჯერ აცხადებენ უზენაესი საბჭოს წევრებად). არის მეორე ნაწილი, რომელსაც შეჩერებული აქვს დეპუტატობის მანდატი, მათ შეუძლიათ თავიანთ საქმიანობაში კორექცია შეიტანონ და შეიცვალონ მიმართულებები. მაგრამ, თუ უსასრულოდ განაგრძობენ უზენაეს საბჭოსთან დაპირისპირებას, მაშინ ალბათ, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ჩატარდება. იმ პირებთან, რომლებიც აშკარად კოლაბორაციონისტულ საქმიანობას ეწევიან გამორიცხულია ყოველგვარი სამართლებრივი თანამშრომლობა.

ლიდერის შექმნასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენმა მოსახლეობამ ისეთ წნეხში გაიარა, რომ ეს ათი წელი ას წელს უდრის. ისეთი სამწუხარო მოვლენები განვითარდა აქ, რომ მოსახლეობა გაერკვა ბევრ რამეში და ძალიან ფრთხილობს. მიუხედავად პრესისა და ტელევიზიის უზარმაზარი ზემოქმედებისა, ვერ მოახერხეს მოსახლეობის აყოლიება ამ ცრუ მოძრაობებში. ასეთი მაგალითიც მაქვს, ჩემს ახლობლებს მიადგა პოლიციელი და უთხრა, აი, ბიმურზა აფრასიძე და საერთოდ, მანანა არჩვაძე-გამსახურდია, პანტელეიმონ გიორგაძესთან არიან შეკავშირებულნი და მიდით კომუნისტების აქციაზეო...

დღეს პოლიტიკური აქტივობა მოსახლეობის მხრიდან საერთოდ დაბალია. ხალხი იმდენადაა დასუსტებული, რომ მისი მხრიდან გამოხატვა პროტესტისა საერთოდ არ არის



ძლიერი. და მისი მოთმინება, როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდხანს გრძელდება, თუმცა ავსა და კარგს საკმაოდ კარგად არჩევს. ასე ფსევდომოძრაობებისა და ფსევდოგმირების შექმნა ყოველთვის კრახით მთავრდებოდა და ასე იქნება შემდგომშიც. შესაბამისად, პატარ-პატარა ცრუ მოძრაობებს "ორთქლის გამოშვების" ფუნქცია დაეკისრება მხოლოდ. აი, რა ფუნქციასაც "60 წუთი" ასრულებს – ამხელს, მაგრამ შედეგი არაფერი არ არის. ეს ცნობილი მეთოდი იყო, გერმანელების მიერ დამუშავებული. ცარიზმი იყენებდა აქტიურად ამ მეთოდს: როგორც კი იყო საშიშროება მაგ. აჯანყებებისა, მაშინვე "ზემოდან" მოჰყვა ბატონყმობის გაუქმება, 1905 წლის მოვლენების პასუხად – სათათბიროს შექმნა, შემდეგ სტოლიპინის რეფორმები იყო და სხვ. ეს არის "ორთქლის გამოშვების" მეთოდი და ამას იმეორებენ დღესაც. ცვლილების იმიტირებისათვის შეიძლება შეიცვალონ პრემიერ-მინისტრის პოსტი, ან სხვა რამ. და შესაძლებელია ოჯახურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებითაც წამოწყებულ იქნას რაიმე ღონისძიება. არჩევაც არ უნდა ამ საქმეს – "ჯიბის პარლამენტი" უცებ დაამტკიცებს ასეთ კანდიდატურას. სახეზეა ყირგიზეთის მაგალითი, უზბეკეთის მაგალითი და ა.შ.

> ის ვინც დღეს ხელს მოაწერს კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, ის თავისი შვილების ბედნიერებაზე მოაწერს ხელს.

*ის ჯგუფები, რომლებიც თავს უწოდებენ "გარე ოპოზიციურ ძალებს" ძალიან წინააღმდეგობრივი ბუნებისა არიან და, ერთი შეხედვით, ძალზე არაბუნებრივია მათი ერთიანობა. მათი კონსოლიდაციის მიზეზებზე ჩვენ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ იქნებ არის სხვა ფაქტორიც, მაგალითად, შიში სამართლიანი ხელისუფლების აღდგენისა და ხალხის მეხსიერების წინაშე. ითვალისწინებს თუ არა საქართველოს უზენაესი საბჭო, რომელიც ახლა უკვე ფაქტობრივი ხელისუფლების პარალელურად მუშაობს, ამ ოპოზიციურ ნაწილთან ურთიერთობის შემდგომ ეტაპებს? არ იგულისხმება, ცხადია, კრიმინალურ და ტერორისტულ ჯგუფებთან თანამშრომლობა, მაგრამ დანარჩენებთან (ვინც "უიარაღოდ" ებრძოდა კანონიერ ხელისუფლებას) როგორ წარიმართება ურთიერთობები? მაგალითად, მეწარმეებს, ალბათ, ეშინიათ თავიანთი კაპიტალის დაკარგვისა, ასევე, მაგ. არიან პოპულარული ადამიანები, რომლებმაც თავისი ცხოვრება და საქმიანობა პოლიტიკას დაუკავშირეს და ახლა ეშინიათ დაუსაქმებელნი არ დარჩნენ,... ზოგს თავისი ელიტარული მდგომარეობის დათმობის საფრთხე აშინებს...რას ფიქრობს ამაზე უზენაესი საბჭო?*

მოგახსენებთ იმას რასაც მე ხშირ შეხვედრებით ვხედავ ლეგიტიმური ხელისუფლების გეგმებიდან: პასუხი ორ კატეგორიად უნდა დავყოთ: ერთი მხრივ, უზენაესი საბჭოს წევრები და მათი დამოკიდებულება და მეორეს მხრივ, ის ძალები, რომელთაც ბიზნესი აქვთ (და შესაძლებელია, გარკვეული ცოდვებიც). "ახალ ძალთა გაერთიანებაში" ერთ ნაწილს სრულიად კანონიერად შეწყვეტილი აქვს უზენაესი საბჭოს წევრობა (თუმცა თავს ზოგჯერ აცხადებენ უზენაესი საბჭოს წევრებად). არის მეორე ნაწილი, რომელსაც შეჩერებული აქვს დეპუტატობის მანდატი. მათ შეუძლიათ თავიანთ საქმიანობაში კორექცია შეიტანონ და შეიცვალონ მიმართულებები. მაგრამ, თუ უსასრულოდ განაგრძობენ უზენაეს საბჭოსთან დაპირისპირებას, მაშინ ალბათ, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ჩატარდება. იმ პირებთან, რომლებიც აშკარად კოლაბორაციონისტულ საქმიანობას ეწევიან გამორიცხულია ყოველგვარი სამართლებრივი თანამშრომლობა. ჩვენ არავითარ რეპრესიებს არ მოვმართავთ. მაგრამ სამართლებრივად კონსტიტუცია ვერ იტანს ამგვარ პირებს სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ სტრუქტურებში. ქალბატონმა მანანამ "რუსთავის" არხზე განაცხადა, რომ საქართველოში არ იქნებიან პოლიტპატიმრები. მე მგონია, რომ ყველაზე გამარჯვება იყო 28 ოქტომბერი, [illegible], 31 მარტიც; ყველაზე გამარჯვება იყო, ვინც ოპოზიციონერია, იმისაც, რადგან იქნებოდა ჩვენი შვილების მომავალი. ასევე ყველაზე გამარჯვება იქნება კანონიერი ხელისუფლების აღდგენა, რადგან გაუქმდება კაბალური ხელშეკრულებები, განვითარდება ტერიტორიების სამართლებრივი გზით დაბრუნების პროცესი, ერის გამთლიანების პროცესი. ეკონომიკაში კი იქნება ლიბერალური პოლიტიკა, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება. იგივე თოფაძემ, დღეს თუ ყველაფერი გადაიხადა, რაც გადასახდელი აქვს, 120% უნდა გადაიხადოს, ანუ ამ უდღეური პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო პრინციპით: 20% თავისი უნდა დაიტოს. ჩვენ არ დავუშვებთ მეწარმეთა ასეთ შევიწროებას. მერწმუნეთ, დღევანდელ დღესავით ვხედავ ერთ-ორ წელიწადში რამდენი საკუთარი [illegible] შეიძლება, თუ იქნება ნება საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისა. ამისთვის კი საჭიროა არ იყოს კორუფცია, რომელიც საქართველოს ეკონომიკას აწვება ჯოჯოხეთივით: წარმოიდგინეთ, რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარია გასული საზღვარგარეთის ბანკებში ამ ხელისუფლების [illegible] ანგარიშებზე. ბატონი ზვიადი თითოეულ ადამიანში ხედავდა ისეთ ფიგურას, რომელიც სამშობლოს გამოადგებოდა და სამშობლოსთვის იღვაწებდა. თითოეული ადამიანის ბედნიერება სამშობლოს პრიზმაში განიხილებოდა, რადგან რამდენი ბედნიერი ოჯახიც არის ქვეყანაში, იმდენად ბედნიერია ქვეყანა. კანონიერი ხელისუფლება იმდენად ზრუნავდა თავის მოქალაქეებზე, რომ მას დაეტოვებია. მიუხედავად ისეთი დიდი კატაკლიზმებისა (მიწისძვრებისა, ეკონომიკური ბლოკადისა და სხვ.) არც მოსახლეობის და არც უცხოეთის ვალი არ დაუტოვებია. ზრუნვა საქართველოს მოქალაქეებზე უზენაესი საბჭოს მოვალეობაა.

მეწარმეებისა და საერთოდ ცნობადი ადამიანების ნაწილი არის სახელმწიფოსათვის ისეთი კაპიტალი, რომელსაც მოფრთხილება ესაჭიროება. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული უზენაეს საბჭოს. დღევანდელ საქართველოში ვერც ერთი ოჯახი ვერ იქნება ბედნიერი, რაც არ უნდა მილიონები დააგროვოს, რადგან მას ურთიერთობა მოუწევს ამ გაუბედურებულ ქვეყანასთან, რომელიც კრიმინალებითა და ბანდიტებით ავსება. მთლიანად ქვეყანა უნდა გაჯანსაღდეს. ასე რომ, ის ვინც დღეს ხელს მოაწერს კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, ის თავისი შვილების ბედნიერებაზე მოაწერს ხელს.

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

# ზურაბ ფიფია:
# მე ვიტყვი სიმართლეს!

*საქართველოს დამაქცევარი ხელისუფლების მორჩილი და მაამებელი საინფორმაციო საშუალებები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ მბრძანებელთა ბინძური დავალებების შესრულებაში და ნაირგვარი სიცრუით, ცილისწამებითა თუ ბრალდებების შეთხზვა-შეკოწიწებით, პატრონთა სიამოვნებასთან ერთად, თავგამოდებით ესწრაფვიან ხალხის მოტყუებას. მათგან მოწოდებულ უამრავ სიცრუეთაგან, მომეტებულად ბატონ ზვიად გამსახურდიას იდუმალი მკვლელობის «გამოძიება-გამოკვლევისა» და «სიმართლის» დასადგენად ირჯებიან. ამ მხრივ, ერთი გამორჩეულთაგანია გაზეთი «ახავალ-დახავალი», ახლახან კიდევ ერთხელ რომ გვაუწყა «სიმართლე» და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის ყოფილ უფროსთან, რობინზონ მარგველანთან საუბარში თქმულით კიდევ ერთხელ «დაგვარწმუნა ჭეშმარიტებაში».*

*დასახელებული საუბრის გამოქვეყნების შემდეგ, ნალენჯიხის რაიონის სოფელ ჩქვალერის მკვიდრი, ბატონი ზურაბ ფიფია გვეწვია და ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილი უფროსისგან თქმული სიცრუით, სინამდვილის განზრახ დაფარვით გულნატკენმა და უკმაყოფილომ, სიმართლის თქმის სურვილი გამოთქვა.*

ზურაბ ფიფია: ცნობილია, რომ შევარდნაძის მიერ მოხმობილი რუსული ჯარის მეშვეობითა და ქართული კრიმინალური ბანდების ღალატით, აფხაზეთის საქართველოს ჩამოცილების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ბატონ ზვიად გამსახურდია სამეგრელოში დარჩა. რუსეთის სპეცსამსახურებისა და მხედრიონელთა დევნის გამო პრეზიდენტი იძულებული იყო გამუდმებით შეეცვალა ადგილსამყოფელი.

1993 წლის 7 ნოემბერს, ბატონი ზვიად გამსახურდია და მისი გარემოცვა ჩქვალერში ჩამოვიდნენ. ისინი პრეზიდენტის ჩალისფერი «ვოლგით», ორი მიკროავტობუსით და სატვირთო ავტომობილით ჩამოვიდნენ. მოსულთა განცხადებით სვანეთში ნასასვლელი გზა მდევართაგან დახვედროდათ გადაკეტილი, ამიტომაც წამოსულიყვნენ ჩვენსკენ. პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ბესარიონ გუგუშვილი, დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, დაცვის წევრები: ბაჩუკი გვანცელაძე, გოჩა კეკენაძე და სხვები, სულ ოცდაათ კაცამდე. გვიან საღამოს, ნაწილი შეიარაღებული ახალგაზრდებისა, სატვირთო ავტომობილით სვანეთში გაემგზავრნენ. ამასთან დაკავშირებით, მინდა შემდეგი ვთქვა: იყო ერთხელ შემთხვევა, რომ ვერ შევძელი სახლიდან გამოსვლა, მითვალთვალებდნენ. მამის ჩემმა დამ მეზობლის გოგონასთან ერთად, ვითომცდა ღორების სამწყემსად, ზურგჩანთებაკიდებულებმა აუტანეს საჭმელი. ერთხელ კი ისე მოხდა, რომ სამივე კარავში მყოფთათვის საკმარისი საჭმელი მარგველანის კარავში დავტოვე და სასწრაფოდ გამოვბრუნდი. მეორე დღეს შევიტყვე, რომ პრეზიდენტისა და მეზობლად მდგარ კარავში მყოფნი იმ ღამეს უჭმელნი დარჩენილიყვნენ... ეხლა რაც შეეხება რ.მარგველანის პრეზიდენტისგან ჩამოშორების მცდელობას. დასახელებულ საგაზეთო საუბარში იგი ამბობს, რომ იქაური მეგზურები ცდილობდნენ პრეზიდენტისგან ჩემს ჩამოშორებასო. ამას იგი სრულ სიმართლეს ამბობს. ამისი მოსურნე ერთი პირველთაგანი მე ვიყავი. მე ვიყავი ის კაცი, რომელზეც ამბობს ხუთი დღით ჩამომაშორეს პრეზიდენტსო.

- რა შეამჩნიეთ ასეთი დასაეჭვებელი?

- ჩვენსკენ ჩამოსულ რობინზონს ორი ქალბატონი ახლდა. სიმართლე გითხრათ არ ვიცი ვინ იყვნენ ისინი. სჯობს მათი ვინაობა თავად დაასახელოს. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის დაცვის უფროსი იმ ქალებს უფრო უფრთხილდებოდა და იცავდა. მისი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა კი მივიწყებული ქონდა, იგი წუთითაც არ უნდა მოსცილებოდა ბატონ ზვიადს. სწორედ ამან გადამაწყვეტინა მისი პრეზიდენტისგან ჩამოშორება. სასწრაფოდ მოველაპარაკე ჩვენს ბიჭებს და გადავწყვიტე ყველაფერი პრეფექტისათვის გვეთქვა, რადგან რასაც ვუყურებდით, ძალზე გვაფიქრებდა, ნამდვილი ქაოსი და განუკითხაობა იყო.

არაფერი დამიმალავს, ყველაფერი ვუთხარი ბატონ ზურაბს და ჩვენს გადაწყვეტილებაზე მოვახსენე. მან მითხრა, რომ ჩვენს ამ განზრახვას შეიძლება დაპირისპირება მოჰყოლოდა პრეზიდენტის დაცვის წევრებთან და ამიტომ უმჯობესია ყველაფერი ბატონ ზვიადს ვაცნობოთო.

მდგომარეობა კი თანდათან რთულდებოდა. მოსალოდნელ თავდასხმაზეც შეგვატყობინეს. დრო აღარა გვქონდა. გადავწყვიტე ყველაფერი თავად მეთქვა ბატონ ზვიადისათვის. მოვახსენე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და ადგილსამყოფელის აუცილებლად შეცვლაზე. დამეთანხმა და მითხრა, რომ დაცვას მზადყოფნაში მოიყვანდა. მაშინ რ.მარგველანის ჩამოცილებაზეც ვუთხარი. გაუკვირდა. დაეჭვების მიზეზს ჩამეკითხა. დაწვრილებით მოვახსენე ყველაფერზე. ისიც ვუთხარი, რომ გამყოლი, რომელსაც პრეზიდენტი იქიდან უნდა გაეყვანა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა მეგზურობას, თუკი დაცვის უფროსი თან არ გაჰყვებოდა. პრეზიდენტი დაგვეთანხმა და რობინზონს იქ დარჩენა უბრძანა.

მართლაც, რ.მარგველანი საგაზეთო საუბარში ამბობს: «პრეზიდენტმა მითხრა: რობინზონ, შენ ახლა უნდა დარჩე, სამიოდე დღის შემდეგ კაცს გამოგიგზავნი და ჩემთან მოგიყვანხო».

სოფლისკენ გამოვეშურეთ. ჩვენთან ერთად წამოვიდნენ ბ.გუგუშვილი, ბ.გვანცელაძე, გ.კეკენაძე და დაცვის ორი წევრი. ჩვენთან ერთად მოდიოდა ზურაბ გუჩუაც. უკუნეთ ღამეში, თავსხმა წვიმასა და ქარიშხალში, ციცაბო კლდის საცალფეხო ბილიკით გაჭირვებით მივეშურებოდით სოფლისკენ. ერთგან პრეზიდენტს იარალი დაუვარდა. მივაწოდე, მაგრამ მითხრა შემენახა და ფრთხილად ვყოფილიყავი, არ დამკარგვოდა მისთვის ესოდენ ძვირფასი ჯოჰარ დუდაევის რევოლვერი.

გაჭირვებით ჩამოვაღწიეთ სოფელში. ორი დღე დარჩა ბატონი ზვიადი ჩქვალერში. ძლებისდაგვარად წესრიგში მოიყვანა თავი. სრულიად ჯანმრთელი, სალ-სალამათად გამოიყურებოდა, სავსებით მხნედ გრძნობდა თავს. წასვლისას, ვახშამზე, ხუთი ჭიქა წითელი ღვინით წარმოთქვა სადღეგრძელოები. დაგვლოცა, მადლობა მოგვახსენა, გაგვამხნევა — მომავალი ჩვენიაო. დამშვიდობებისას ჰალსტუხი მაჩუქა, რომელსაც უძვირფასეს რელიქვიათ ვინახავ.

გვეძნელებოდა პრეზიდენტთან განშორება, მაგრამ აუცილებელი იყო მისი ესოდენ სახიფათო ადგილიდან წასვლა. სოფელში მისვლამდე, სადაც ისინი მიდიოდნენ, გზად ენგურს შეერთებულ მდინარე მაგანაზე უნდა გადასულიყვნენ. უშიშარმა რაინდმა, სრულიად ჯანმრთელმა ვაჟკაცმა, ნოემბრის იმ ღამეს, ყინულივით ცივი წყლით მხრებამდე დაფარულმა, ტანსაცმლიანმა გაალწია მეორე მხარეს...

ბატონ ზვიად გამსახურდიას ჩქვალერში ყოფნის ორი კვირა ზღაპრული მოგონებად შემორჩა.

გეტყვით, რომ დღევანდელ უკანონო ხელისუფალთა «მოღვაწეობისას» არავითარი სურვილი არა მქონდა რაიმეს თქმისა, ყველაფერს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის დღისთვის ვინახავდი, მაგრამ დასახელებულ საგაზეთო პუბლიკაციაში თქმულმა სიცრუემ და ნალენჯიხელებისადმი წამოყენებულმა გაუმართლებელმა ცილისწამებამ, აზრი შემაცვლევინა — თავსგადამხდარის გახსენება და მკითხველისათვის განდობა გადავწყვიტე. სათქმელი კი კვლავაც ბევრი დამრჩა. დარწმუნებული ვარ, სიმართლის გამღავნების, ცრუთა მხილების ჟამი ახლოვდება.

თუკი ჩქვალერში მოსვლამდე ვერაფრით მოახერხეს პრეზიდენტის სვანეთში წაყვანა, მაშინ როგორღა შეძლეს იმავე ღამეს, იმავე გზით იქ აღწევა? ასე მგონია, წინასწარ შედგენილი გეგმით, მოსკოვსა და ხუნტას, პრეზიდენტის მოკვლა უშუალოდ სამეგრელოში ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ბატონ ზვიადსა და მის მხლებლებს სასურველი მასპინძლობა გაუწია რ. მარგველანისაგან შერჩეულმა ოჯახმა. მაგრამ, სპეცსამსახურების აგენტებისა და მხედრიონელებისაგან გარშემორტყმულ სოფელში (ამგვარ მდგომარეობაში იყო ნალენჯიხის რაიონის თითქმის ყველა სოფელი) მათი დარჩენა დიდი ხნით შეუძლებელი იყო. ამიტომ, ნალენჯიხის პრეფექტთან ბატონ ზურაბ გუჩუასთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ პრეზიდენტი და თანხმლები ხალხი მთაში, ტყეში გაშლილ კარვებში გადაგვეყვანა. სამი კარავი გავშალეთ. პირველში რ.მარგველანი, მისი თანხმლები ორი ქალბატონი და რამდენიმე ახალგაზრდა მოთავსდნენ. მეორე კარავი პრეზიდენტმა, ბ.გუგუშვილმა, ბ.გვანცელაძემ, გ.კეკენაძემ და დაცვის რამდენიმე წევრმა დაიკავეს. მესამეში კი, ნალენჯიხის პრეფექტურის ექვსი ახალგაზრდა თანამშრომელი მოეწყო. რაც შეეხება ავტომობილებს, ბ. გვანცელაძის მეშვეობით რ.მარგველანს მათი ჩემთვის ჩაბარებასა და საიმედო ადგილზე გადანახვაზე შევუთვალე, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო ისინი იქაურ საეჭვო ხალხს ჩავარდნოდა ხელში და გაუთავებელი ალმა-დალმა ქროლვით, მდევრებს ბატონ ზვიადის იქ ყოფნას გაეგებინებინათ. სამწუხაროდ, პრეზიდენტის დაცვის უფროსმა ეს არ გაითვალისწინა, ავტომობილები მართლაც ყაჩაღებთან მოხვდნენ და საბოლოოდ უკვალოდ გაქრნენ...

«ტყეში გასვლის დღიდანვე, რაღაც ფაქტორი მუძაობდა, რომ პრეზიდენტისათვის ჩამოეშორებინათ დაცვის ბიჭები. მათი ჩამოშორება ხდებოდა მეგზურების მეოხებით, რომ ოჯახი გაიყიდება, გატყავდება ამდენის შენახვითო და ა.შ. პირადად მე, ხუთი დღე-ღამით ჩამომაშორეს პრეზიდენტს», - ამბობს რ.მარგველანი დასახელებულ საგაზეთო საუბარში.

მან პირდაპირ ჩვენ დაგვადო ხელი და დაგვადანაშაულა, თითქოსდა ვერ შევძელით პრეზიდენტისა და თანხმლები ადამიანების შენახვა, კერძოდ, მათი საკვებით უზრუნველყოფა. რა დასამალია და იმ ავბედით პერიოდში, ერთი-ორი ოჯახისათვის მართლაც ძნელი იყო რამდენიმე ადამიანის, თუნდაც სამი-ოთხი დღით შენახვა. მით უფრო, სპეცსამსახურების დაგეშილი აგენტებითა და მხედრიონელებით გარშემორტყმულ სოფელში. ესეც არ იყოს, ყველასაც ვერ ვენდობოდით. ვისი ნდობაც გვქონდა, იმათი შემწეობით ყველანაირად ვახერხებდით ძვირფასი სტუმრისა და მისი გარემოცვის უზრუნველყოფას. პირადად მე, ამის მიუხედავად, რომ თავგადაკლულები დამეძებდნენ, სასწაულად ვიძვრენდი თავს და ცხენით ყოველ დღე ავდიოდი კარვებში დაბანაკებულებთან. სახლი მსყიდსებსაც კი ვეხმარე, ღორები და თხები დაეკლათ და ხორცი მიერთმიათ მათთვის.

გელა ჯილაური

(გაგრძელება მე-4 გვერდიდან)

შურდათ, რომელი ერთხელი მოღვაწე?

*ალბათ, ქმნენ არა ავტორიტეტებს?*

არა. შემოიყვანეს მხოლოდ დროებით ხალხი, რომელიც დაპირისპირებულია ჩვენთან. რადგან რამდენი ხანიაც ნაგავიარია. მთელმა მხოლოდ მეცნიერი. და ამიტომ დაგვიპირისპირეს ეს ხალხი, დამოკიდებული ხუნტაზე.

*ფაქტობრივი ხელისუფლება არ ცდილა თქვენთან დაკავშირებას?*

როგორ არა, მაგრამ მე მაქვს სრულიად კონკრეტული მოთხოვნები. მათი დაკმაყოფილების გარეშე კი არაფერი მაქვს სალაპარაკო ხუნტასთან. ჩვენ ყველაფერს ვითხოვთ კანონის ფარგლებში, კონსტიტუციაზე დაყრდნობით. მათ კი რა აქვთ? არიან უზურპატორები. მოსულნი არიან ძალადობით. არა აქვთ საკანონმდებლო ბაზა. ასე რომ, მათი მდგომარეობა დღეს სავალალო და წარმავალია.

*ქალბატონო მანანა, თქვენ თუ გაქვთ გეგმაში დაწეროთ წიგნი თუ მემუარები, რადგან თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება და ის ინფორმაცია, რომელსაც ფლობთ, XX საუკუნის ბოლო ათწლეულების საქართველოსა და კავკასიის ნამდვილი ისტორია იქნება.*

დიახ, მართლაც მე ბევრი რამ ვიცი და აუცილებლად უნდა აღიწეროს ეს მოვლენები. მე შევეცდები შევკრიბო ბევრი რამ, რადგან მთავრობის მხლებლობას გული არ უნდა აუცრუვდეს წინაპრებზე. მე ნამდვილად ვეცდები, რომ დავწერო ისეთი წიგნი, რომელსაც ვერავინ აუვლის გვერდს. დაწყებულიც მაქვს გარკვეული ნაწილი, მაგრამ უდროობის გამო საქმე ნელა მიიწევს წინ. მე ვეცდები ის დეტალებიც აღვწერო, რომელიც უკავშირდება ზვიადის ბოლო ყოფნას საქართველოში. ახლა რომ ამბობენ, რომ თითქოს მკვლელის ვინაობა დადგენილი არააო, ძალიან კარგადაცაა დადგენილი და კარგ პენსიასაც ღებულობდა...

*ეს იყო ნაწილის გამოქვეყნება...*

ნაწილის გამოქვეყნებაც ნაშინეული დამოწმდება

და მას აუცილებლად უნდა მიეზღოს კუთვნილი. მას რომ ასეთი ბრძანება არ შეესრულებინა, ასეთი ქართველი რომ ვერ ეპოვათ, დავალება შეუსრულებელი დარჩებოდა და არც ეს უბედურება მოხდებოდა. საუკუნის დასაწყისსა და საუკუნის ბოლოს ორი, არა, სამი საშინელი მკვლელობა არ შეიძლება უკარგადდებოდ დარჩეს და ამის აღწერასა და შეფასებას მე აუცილებლად განვახორციელებ.

*ქალბატონო მანანა, ამ წიგნს, რომელშიც ხალხმა უნდა ამოიკითხოს სიმართლე, მე ვფიქრობ, ყველაზე ფასეული იქნება არა ღალატი და დანაშაული (რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს მხილებული), არამედ გმირობა. ამ საშინელ ღალატთა მიუხედავად, თქვენ ხართ ის უნიკალური ადამიანი, რომელმაც ყველაზე ახლოდან იხილა გმირობა. გულგატეხილობის შემოტევისას, გვაიძულებს ღალატი, მაგრამ გავიხსენოთ, რამდენი იყო სიკეთე, სიყვარული და ერთგულება? გმირთა თავგანწირვა არ ყოფილა ამაო და ფუჭი, რომ სწორედ ერთგულთათვის, ღვინილთათვის, მოყვარულთათვის, მართალთათვის ხდებოდა ეს გმირობა. ამ საუბარშიც გამოჩნდა თქვენი მიმტევებლობა და სიყვარულის უზარმაზარი ძალა, რომელიც გადაფარავს და თავად შეარბილებს იმ საშინელებებს, რომელთა შორისაც გაიარა ამ მშვენიერებამ, რასაც ჰქვია სამშობლოს სიყვარული.*

მე კიდევ ერთს დავამატებდი თქვენს ნათქვამს, რომ ერთადერთი, რაც მე მანუგეშებს, არის ქართველი ხალხის გმირობა და გრძნობა დაუმორჩილებლობისა, რომლის შედეგიც დღეს ხანგზეა — შევარდნაძემ ვერ მოახერხა საქართველოს დამორჩილება და ამიტომ წავაგო. მას რომ ვინმე კარგი პოლიტიკოსი ჰყოლოდა მრჩევლად, ეტყოდა: საქართველოს შენ თუ არ იცნობ, მე ვიცნობ, ამ ერის ასე დამორჩილება არ შეიძლება. შევარდნაძემ ვერ დაიმორჩილა ერი, ამიტომ დასაჯა ის სამშობლოს სიყვარულისათვის... მე უღრმეს პატივს ვცემ ყველა იმ ქართველს, ვის გულშიც საქართველოს სიყვარული ანთია.

*ძალიან დიდი მადლობა საუბრისათვის.*

მადლობა თქვენც.

# წმიდა გიორგის დღე-სასწაულისათვის

რაოდენ ფიქრი უნდა ვყო ან განვიზრახო თქმად მთავარმოწამე გიორგიზე?

ქართველი ადამიანისათვის განსაკუთრებულის ან ახალის თხრობა ამ დიდ მეოხეზე ღმერთის წინაშე ჩვენთვის განა ადვილი საქმეა?

ანდა თვით წმინდა გიორგის ძალა უთქმელადაც არ განგვაცდევინებს ღმრთის მოწყალებას?

მისი დიდი მფარველობით ძალისხმევაზე ჩვენს ერზე და ქვეყანაზე, აღმეძვრება სოციალური ფიქრი – უეცრად მოსული:

-ახლადენაადგმული ბავშვი, რომელიც შეხედავს თეთრ ცხენზე ამხედრებული, გველეშაპის განმგმირავი ჭაბუკი მხედრის გამოხატულებას, იტყვის:

- წმინდა გიორგი!

...ამიტომაც, ძლევამოსილი, საკვირველმომქმედი და მთავარმოწამე გიორგი ითვლება ქართველი ერის მფარველ წმინდანად, ყოველი მმეედრებელი, რომელიც მეოხებას შესთხოვს უფალთან წმინდა გიორგის, იგრძნობს სასწაულებრივ შეწევნას ღმრთისას, და ძალას და მფარველობას მთავარმოწამისას.

განსაკუთრებული შემწეა წმინდა გიორგი მათი, რომლებიც განსაცდელში იმყოფებიან და ამიტომაც მის მიმართ აღვლენილ ლოცვა-ტროპარში ვამბობთ:

**ტყვეთა განმანათლებელო,და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო,სულთა მკურნალო, და მეუფეთა უძლეველო წმინდა-მბრძანებელო,ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის ამინ!**

... და ქრისტე ღმერთის ძალა და შეება ეძლევათ ტყვეებს, გლახაკებს, სნეულებს..., რომლებიც შუამდგომლობას შესთხოვენ ღვაწლით შემოსილ დიდმოწამე გიორგის-უფალთან.

მეფეთა უძლეველი წინამბრძოლ-ლოცვა



წმინდა გიორგი. და ერთადერთი სიტყვით "ძლევათ საკვირველი" ჩვენს ისტორიაშიცაა ცნობილი დიდგორის ომის დროს. ამ ბრძოლაში წმინდა გიორგის სასწაულზე ლაპარაკობენ და გადმოგვცემენ თვითმხილველნი: არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი, არაბი მემატიანე იბნ-ალ-აზრაკ ალ -ფარიკი, სომეხი "ქამთაალმწერელი" მატათეოზ ურჰაეცი, ისტორიკოსი და ჯვაროსანი კანცლერი გოტიე, სხვანი და ბოლოს, დავით აღმაშენებლის და ძალი ზეგარდმო ფარავდა მას, და წმინდა მოწამე გიორგი ისტორიკოსი, რომელიც გვამცნობს: "რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და იელტოდა, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარავდა მას, და წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინ უძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსვრიდა ზედამოწყვნულთა ესჯულთა მათ წმინდათა, რომელ თვით იგი ურჯულონი და უმეცარნი მოლმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულისა ამისა მთავარმოწამისა გიორგისსა..." (ქართლის ცხოვრება, ტ.1, "დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი", გვ.341).

წმინდა გიორგის მრავალ სასწაულთა მნახველი და განცდაშემოსილი ჩვენი ერი ნაადაგ იგებდა ტაძრებს მთავარმოწამის სახელზე. ერთი მრავალთაგანია თბილისის ქვაშვეთის წმინდა გიორგის ტაძარი დავით გამრეკელის სასწაულთან დაკავშირებულ ადგილზე აგებული (VI ს.): მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ძვალშესანახზე ტაძარიც წმინდა გიორგის სახელობისაა (IV ს). და აქედანაც ჩნდება გულისხმა ერთი განსაცდელის სიმართლისა: "ერთი ძველი ქართლის მატიანე მოგვითხრობს ვითარმედ წმ. გიორგი ბიძის შვილი იყო წმ. მოციქულისა ნინოსი,რომლისა თანახმობა ჯერ არს" (მ. საბინინი, "საქართველოს სამოთხე", გვ. 48) წარსულიდან მრავალჯერ გვსმენია: მთელი წლის მანძილზე ყოველი დღის აღმნიშვნელად ტაძარი იყო აგებული მთავარმოწამის სახელზე და ამიტომ ყოველი დღე წმინდა გიორგის ხსენების დღეაო. მთავარ დღესასწაულად, მაინც რჩება 23 აპრილი (ძვ. სტ) ეს არის წმინდა გიორგის წამების შემდეგ მისი აღსრულების დღე, - დღე ზეციერ-ქრისტესმიერ მხედრობასთან შეერთებისა; 3 ნოემბერს (ძვ.სტ) აღინიშნება "განახლება ტაძრისა დიდმოწამე გიორგისა ლუდიასა შინა (IV ს)" - სადა მდებარე არს პატიოსან გვამი მისი" (საქართველოს ეკლესიის კალენდარი). ქართველი მორწმუნენი ამ დღესასწაულს "ბორბნულ გიორგობად" ვხმობთ: 10 (ძვ. სტ) ნოემბერს (ცნობილი 23 ნოემბერი)მთელი საქართველო თავისი დედა ეკლესიის ლოცვა-კურთხევით და ტრადიციით ზეიმობს წმინდა გიორგის მოწამეობრივი გამოჩინების დასაწყისს, რომელსაც ბორბალზე წამების დღედ მოვიხსენიებთ. ამ დღის გამოხატულებისათვის მოვიხმობთ რუსულ თვეხიდან თარგმნილ ამონაწერს: "საქართველო, განათლებულია ქრისტიანული რწმენით მოციქულთა სწორის ნინოს მიერ, რომელიც ენათესავებოდა წმინდა გიორგის, განსაკუთრებულ თაყვანს სცემს ამ მთავარმოწამეს, როგორც ქართველი ერის მფარველს. ამ ქვეყნის ერთ-ერთი სახელწოდებაც მომდინარეობს, სწორედ, წმ. გიორგიდან – გეორგიკა, 10 ნოემბრის (ძვ.სტ) დღესასწაული, წმინდა გიორგის ბორბალზე წამებისა, დააწესა თვით წმინდა ნინომ" ("Настольная книга священнослужителя", Т.2., стр. 264, Москва 1978).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი წლის მანძილზე, და განსაკუთრებით 23 აპრილს (ძვ.სტ), 3 ნოემბერს (ძვ.სტ) და 10 ნოემბერს (ძვ.სტ), ღმერთის დიდი მადლი და შეწევნა გადმოდის მორწმუნე ქრისტიანებზე მთავარმოწამის, ძლევამოსილის და საკვირველმომქმედის გიორგის მეოხებით

დასასრულს, წმინდა გიორგის სადღესასწაულო, სულიერი განწყობის ასამაღლებლად და ღვთანდელ ქართველთა ყოფისთვის სასურველოდ და გულისხმისთვის მოვიყვანთ მთავარმოწამის პარაკლისზე თუ წირვაზე წასაკითხ სახარებიდან ერთ მუხლს: "პრქუა უფალმან თვისთა მოწაფეთა, ხოლო ბუტყუ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვედნენ ხორცნი და ამისა შემდგომად ვერარათ აქუს უმეტესი, რათა ყონ თქუენ" (ლუკ.12.4)

ლეკანიძე ალექსანდრე
/ჩახვაშვილი/

**2001 წლის 23 აპრილი (ძვ. სტ)**

---

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

რა ადგილებში მუშაობდა მერაბი?

მერაბმა ორი დარგი დაამთავრა. აი, მოგიყვებით ამ ამბავს. მესამე კურსზე რომ იყო, შევატყვე, რომ ლექსებს წერდა, მაგრამ არ აქვეყნებდა. და ინახავდა. ხოლო მესამე კურსზე რომ იყო, მითხრა, დედა, შენ შეცდი, მე რომ ფილოლოგიურზე არ შემიყვანეო. დედა, როგორ განვიცადე!... ამან ისე ცუდად იმოქმედა ჩემზე, რომ ავდექი და წავედი კათედრის გამგესთან, ის მამაჩემთან ნამუშევარი კაცი იყო და კარგად მიმიღო. ვუთხარი, რომ მესამე კურსზე მყავს შვილი კონსერვატორიაში, საუკეთესო მუსიკოსია, ყველანი აფასებენ... და მითხრა, როგორ არ შემიყვანე ფილოლოგიურზეო. ახლა უნდა შევიყვანო-მეთქი. დღესვე მოგიწყობ ფილოლოგიურზე, ოღონდ მაგისთანა ახალგაზრდა მოვიდეს უნივერსიტეტშიო. მე დავბრუნდი და ვუთხარი მერაბს, აი, მისამართი, წადი და გადადი ფილოლოგიურზეო., მაგრამ ვერ დატოვა მუსიკა. თუმცა გადავიდა მუსიკის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც უნდა გაერჩია ის მწერლები, ვისაც უძღვნეს მუსიკა,.. მაინც ცოტა ფილოლოგია იყო ამაში. იგი პოეტიც იყო.

როგორც კი დაამთავრა, დანიშნეს ტექნიკუმში მასწავლებლად, მაგრამ იმისთანა წერილებს წერდა, სულ ყველანი იძახდნენ, დისერტაციაა მისი წერილებიო. დიპლომი რომ დაიცვა, მაშინაც კონსერვატორიაში დიდი გამოხმაურება ჰქონდა. მაგრამ ისეთი უბრალო ვინმე იყო,.. რომ გაანაწილეს ტექნიკუმში, ის ძალიან კმაყოფილი იყო. დედა, სახლში მოდიან მოსწავლეები და მე ბევრი დრო მაქვს, რომ ვიმუშავოო. წერა უყვარდა, კითხვა უყვარდა, ჰოდა, ბევრი დრო ჰქონდა, რადგან მოწაფეები სახლში მოდიოდნენ, სულ არ უნდოდა დიდი კაცობა, არც დიდი ადგილი... დისერტაციებს წერდა და დაცვა არ აინტერესებდა.

ხომ გამოვიდა დიდი კაცი, ძალიან დიდი კაცი?...

ეს, რა ვიცი, თავისთავად გამოვიდა...

მატერიალურად როგორ გაგქონდათ თავი?

ძირითადად მარჩენალი მამაჩემი იყო და არაფერი არ გვაკლდა; მერე, მე ვინახავდი ოჯახს, ინჟინერი ვიყავი ცნობილი და დიდი ჯამაგირი მქონდა... მერაბს არაფერს ვაკლებდი... ვხედავდი, რომ სულ იჯდა და ლექსებს წერდა, სულ კითხულობდა და არ ვუშლიდი ხელს.

მერაბიცა და ზვიადიც ძნელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რაც მათ ახლობლებს, ოჯახი წევრებსაც ურთულებდა ცხოვრებას. ალბათ, ბევრმა ვერ ზიდა მათი მეგობრობის ტვირთი, ბევრმა ადამიანმა ატკინა მათ გული?

გული ტკიოდათ, რატომ არ ესმით ქართველებს, რისთვის უნდა იბრძოლონო.

როგორ ათავსებდნენ ამ გულისტკივილს და პატიებას, მიტევებას?

მერაბი იყო არაჩვეულებრივად მიმტევებელი. ცოტა განსხვავება გამოხატვაში ჰქონდათ, მაგრამ ორივე ძალიან მიმტევებელი იყო. ძალიან გულკეთილები იყვნენ... ერთს ვერ ნახავდი, მერაბისთვის ვინმეს ეთხოვა ფული მასესხეო და, თუ ჯიბეში ჰქონდა, არ მიეცა. სულ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაც ჰქონდა, აძლევდა ყველას ყველაფერს. და ცხოვრობდა ჯამაგირით, მაგრამ მე არაფერს არ ვაკლებდი.

მეგობრებმა, თანამედროვე ახალგაზრდებს რომ ვუყურებთ, იციან ხოლმე ფამილარულობა ერთმანეთში, უხეშად მიმართვა... რომელიმე ასაკში თუ ჰქონიათ ასეთი პერიოდი მერაბსა და ზვიადს?

მათგან არ მახსოვს ერთმანეთთან ცუდი მიმართვა. მე ისეთი მეგობრები არ მინახავს, მერაბი და ზვიადი რომ იყვნენ. მერაბი ძალიან აფასებდა ზვიადს, ოო, რომ იცოდეთ, როგორ აფასებდა ზვიადს... აი, გითხრათ, ჟურნალს რომ უშვებდნენ, მეორე ჟურნალს, ერთ ღამეს მეუბნება, დედა, სულ ზვიადი ხარჯავს ფულს, მეც მინდა მხარში ამოვუდგე და შენ რამე ფული ხომ არა გაქვსო. მე მქონდა ობლიგაციები ჩაბარებული და ძალიან დიდი ფული მივეცი. ჩამიხუტა, ჩამიკრა გულში, ისე გაუხარდა, ახლა ზვიადს ამოვუდგები მხარშიო... ხომ გიყვარვარ, დედა-მეთქი, და ვფიქრობდი, რომ მეტყოდა, როგორ არ მიყვარხარო... და იცით, რა მითხრა? დედაო, ჯერ ღმერთი მიყვარსო ( მერერამდენს კითხულობდა რელიგიურ წიგნებს, და საერთოდ, ფილოსოფიურ შრომებს), მერე – ზვიადი და მერე შენო. ეს მე, სხვათა შორის, გაზეთშიც დავწერე....

მერე არ გეწყინათ?

არ მეწყინა, თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული მათი მეგობრობის მიმართ, რომ არ მეწყინა.

ალბათ, იმიტომ, რომ ამ სიტყვებში კეთილშობილური შინაარსი იყო....

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

---

(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)

*მასასადამე, რომ შევაჯამოთ ეს საუბარი, თქვენ ბრძანებთ, რომ საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა არის დაცვა საქართველოსი, საქართველოს მოსახლეობისა და უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებისა, რომელთა დანაშაულს ექნება მხოლოდ სამართლებრივი შეფასება კანონიერი ხელისუფლების მხრიდან, და ამით ეს დამნაშავე ნაწილი გადაურჩება განუკითხავი, შურისმაძიებელი მასის აგრესიის ხელში ჩავარდნას. რადგან მოსახლეობის მღელვარება შესაძლებელია კონტროლიდან გამოვიდეს, თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს უსამართლო და კორუფციული მმართველობა, რომელმაც ხალხი თანდათან შეიძლება გადააქციოს გაუნათლებელ, გაავებულ, მოუწესრიგებულ მასად, რომლის რისხვა შესაძლოა გახდეს საშინელი და მის შესაკავებლად ვეღარ მოხერხდეს ვერანაირი ბერკეტების. ჩვენ კარგად ვიცით ისტორიის მაგლითებიდან, რაოდენ საშიშია ასეთი პროცესები.*

დიახ, ჩვენ უნდა ვისწრაფოთ მდგომარეობის გამოსწორებას, რადგან ყველა დღე საქართველოს აკარგვინებს ადამიანებს სულიერადაც და ფიზიკურადაც (თვითმკვლელობები, ემიგრაცია...). კატასტროფისაკენ მივექანებით. თვითონ შევარდნაძემაც განაცხადა ახლახანს, "თავზე გვენგრევა ყველაფერიო". რეალობა სწორად დახატა. თუმცა კი ისე, ვითომ თვითონ არაფერ შუაშია. ასე რომ, ამ პროცესის შესაჩერებლად ყველა წუთი ძვირფასია.

*დიდი მადლობა საუბრისათვის.*

# პირდაპირი შეკითხვების ზოგიერთი ირიბი პასუხი

ვპასუხობთ თუ არა ადამიანები ყოველთვის დასმულ შეკითხვებზე გულწრფელად და პირდაპირ? რასაკვირველია, არა. რიგითი მოკვდავნი შეკითხვებს ზოგჯერ არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და ხან დაუფიქრებლად და ხანაც შეგნებულად ზოგჯერ ირიბად, ზოგჯერაც არასწორად ვპასუხობთ. თუმცა, არსებობენ პასუხგაუცემელი შეკითხვებიც.

საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარეს, განათლებული და ძლიერი პიროვნების, ბატონ შალვა ნათელაშვილის დაწვრილებითი ბიოგრაფიული მონაცემებით მკითხველებისათვის წარდგენას საჭიროდ არ მივიჩნევთ. ცნობილ პოლიტიკოსთან საუბრები ხშირად ქვეყნდება პრესაში, საკუთარ აზრს გვიზიარებს ტელევიზიით. ამის მიუხედავად კიდევ ერთხელ შევეცადეთ ქართველი ლეიბორისტების თავკაცთან საუბრის საზოგადოებისათვის შეთავაზებას. განსახვლელად და სათანადოდ შესაფასებლად კი საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან, დღევანდელი დღის ჩათვლით ჩატეული პერიოდი შევარჩიეთ. ბატონი შალვა თავაზიანად დაგვთანხმდა შეთავაზებულზე და ჩვენი საუბარი ლეიბორისტთა სამყოფელში შედგა.

**ბატონო შალვა, 1990 წლის 28 ოქტომბერს დანიშნულ მრავალპარტიულ არჩევნებში კენჭს დუშეთის რაიონის N51 საარჩევნო ოლქიდან იყრიდით.**

- დიახ. დამოუკიდებელი კანდიდატების სიით ვმონაწილეობდი. დასანანია, რომ მაშინ დეპუტატად ვერ გავედი. გაიმარჯვა პიროვნებამ, რომელსაც "მრგვალი მაგიდა" უჭერდა მხარს. სამწუხაროდ, იმ დროის ზოგიერთები თავიანთი ბინძური ინტერესებისათვის იყენებდნენ და ბატონ ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტსა და ეროვნული მოძრაობის სახელს ამოფარებულები, ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: "საბჭოთა სისტემაში მომუშავეები ანტიეროვნულები და ერის მოღალატეები არიან". ის ჩემი მოწინააღმდეგე. საუბედუროდ, სწორედ ამ იდეოლოგიით აბრუებდა რაიონის მოსახლეობას.

**ამის გამო წყენა ხომ არ ჩაიდეთ გულში?**

- არა. წყენით ნამდვილად არ შემწყენია. პირიქით, გამარჯვებულს დავურეკე და გამარჯვება მივულოცე. ამას ქართველები რატომღაც იშვიათად აკეთებენ.

**წარუმატებელი საპარლამენტო დებიუტის მერე როგორ გააგრძელეთ ცხოვრება, საქმიანობა?**

- არჩევნებამდე პროკურატურაში ვმუშაობდი და იქვე გავაგრძელე საქმიანობა. ვიყავი პარტიული კომიტეტის მდივანი. ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მოვახდინეთ დეპოლიტიზაცია, საამოქმედოდ დავასამარეთ კომპარტია. ამის შემდეგ დავინიშნე პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსად. საკმაოდ საინტერესო და სერიოზულ საქმიანობას ვეწეოდი დამოუკიდებელი საქართველოს გარიჟრაჟზე.

**იმ პერიოდში უკვე მოქმედ პარტიებთან ერთად, ერთიმეორეს მიყოლებით იქმნებოდა ახალი პარტიები.**

- მაშინ საქართველო გახლდა პარტიების ერთგვარი ინკუბატორი.

**და თქვენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში შეხვედით?**

- არავითარ შემთხვევაში. ეს წმინდა წყლის სიცრუეა. ამ პარტიის წევრი არასდროს არ ვყოფილვარ. თუ იმას არ ჩავთვლით, რომ პირადად ვიცნობდი ქარდაველებს "მრგვალი მაგიდიდან". ისინი ჩემთან მოდიოდნენ ხოლმე კონსულტაციისათვის. მათ გარდა "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლებიც მაკითხავდნენ, ისინიც მეკითხებოდნენ და მეც რჩევას ვაძლევდი საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებზე. მე მოსკოვის დიპლომატიური აკადემია მქონდა დამთავრებული და მაშინ საქართველოში ერთადერთი გახლდით ამ სპეციალობით განსწავლული.

ისევ გავიმეორებ: ეღპ-ს წევრი არასდროს ვყოფილვარ. ერთი ის იყო, რომ 1992 წლის პარლამენტში გია ჭანტურიამ მითხრა: ფრაქციაში ხალხი მაკლია და იქნებ ჩაეწეროო. უარი ვერ ვუთხარი და მართლაც, სამი თვე ვიყავი იმ ფრაქციის წევრი. ამასთან, როდესაც კანონები გავატარეთ, მაშინ მარტო "მოქალაქეთა კავშირი" კი არ იყო, ოცდაექვსი პარტია იჯდა და მათი ძალების მხარდაჭერა სჭირდებოდა. ამიტომ, საჭირო იყო ეღპ-ს მხარდაჭერა. ქართული სახელმწიფო ხომ მაშინ იქმნებოდა. მაშინ ფაქტიურად კანონები არა გვქონდა, გარდა გადატრიალების დროს შექმნილი სამხედრო საბჭოს დეკრეტებისა. მათი შეცვლა კი აუცილებლად უნდა მომხდარიყო.

**გასაგებია. რადგან ეღპ-ს წევრი არა ყოფილხართ, მაშინ "მოქალაქეთა კავშირში" გაწევრიანებასა და იქ საქმიანობაზე გვითხარით.**

- რას ლაპარაკობთ. არც ეს არის მართალი. [illegible] მაგ პარტიის წევრობისაგან. როდესაც შევარდნაძემ "მოქალაქეთა კავშირში" შესვლა შემომთავაზა, პირდაპირ განვუცხადე, რომ მისი რომელიმე პარტიის თავმჯდომარეობა უმალ მოსპობდა საქართველოში ყოველგვარ დემოკრატიასა და ჯანსაღ პარტიულ სისტემას. ამასთან, ქვეყანისა და მისი თანაგუნდელების გვერდით ნამდვილად ვერ დავდგები და ჩემს შვილებს პასუხს ვერ გავცემ მათი ნამოქმედარზე. ასე რომ, შევარდნაძის პარტიის წევრიც არასდროს არ ვყოფილვარ. ამას შეგნებულად ავრცელებენ გარკვეული მიზნებით ამ ხელისუფლების ცრუ წარმომადგენლები. გვარიანად სცოდავენ არაპროფესიონალი ჟურნალისტებიც.

**და დაგვილევთ ამის საკუთარი პარტიის შექმნისა? როდის გაასაჯაროვეთ ჩანაფიქრი, როდის ისილა ახე ჭოიქვაი დღის ხინაოილე ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ?**

- ლეიბორისტული (შრომის) პარტია ოფიციალურად დაარსებულად 1995 წლის ზაფხულში გამოვაცხადე. მაშინ ცხადად შევიგრძენი და დავინახე, რომ მთლიანად ძალა "მოქალაქეთა კავშირის" ხელში, რომელიც პრაქტიკულად დაამთავრებდა ქვეყნის განადგურების პროცესს. იქიდან მოდის ჩვენი დიდი დაპირისპირება შევარდნაძის სისტემასთან. თუმცა, მანამდეც იყო შეუთანხმებლობები [illegible], როდესაც პარლამენტის იურიდიულ კომისიას ვხელმძღვანელობდი. ვიტყვი, რომ მართვადი არასდროს ვყოფილვარ და უსიტყვოდ, მორჩილად არ ვასრულებდი შევარდნაძის დავალებებს, მის ნება-სურვილზე არ დავდიოდი: ეს იქნებოდა კანონების მიღება, მისი უფლებების გაზრდა თუ სხვა რამე. ასე რომ, შინაგანი დაძაბულობა ჩვენს შორის მაშინვე იყო.

**მიუხედავად, თქვენი აზრით, შევარდნაძის ასე ვთქვათ, ამოცნობა მთელი სისრულით "პარლამენტის იურიდიული კომისიის" თავმჯდომარედ ყოფნის დროს დაიწყეთ. კეთილი. მოდით, 1992 წლის ავადსახსენებელი მარტი გავიხსენოთ – სისხლიანი გადატრიალების შემდეგ, სახენაცვალი შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების დღე. თქვენ მაშინ სად იყავით, რას იქმოდით?**

- როგორც უკვე გითხარით, მაშინ პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსად ვმუშაობდი. დღევანდელი კი ამ ფორმით მოსულ ხელისუფლებასთან არ დავმეგობრებულვარ. პირიქით, როდესაც იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ, თითქოსდა, ქართველებმა [illegible] მოუწყვეს და ამის თაობაზე განცხადება უნდა დაწერილიყო, [illegible] გენერალურ პროკურორს, რომელშიც ვაცხადებდი, რომ ეს [illegible], ერის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. [illegible], ეს თანამდებობიდან დაითხოვს [illegible].

**და უმუშევარი დარჩით?**

- არა.

**ჩვენი კომენტარი:** სწორედ მაშინ საქართველოს პრეზიდენტის მომხრეების უდიდესი ნაწილი სრულიად უსამართლოდ განიდევნა სამსახურებიდან და დღემდე უმუშევრები არიან...

მთელი საქართველო არ იყო წინააღმდეგი სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და მოწყობის ჩამოსვლისა? თავი დავანებოთ ამ ტრაგედიის თანმიმდევრობასა და დღემდე ჯერაც დაუსრულებელ [illegible]. მისი ცუდა პირველწყაროს [illegible]

**დისკუსია მიყავდა**
**გელა ჯილაურს**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## მარსიანი (გია ბენიძე )



*დაიბადა 1953 წელს, წყალტუბოს ზონის სოფელ ხოლუმში, დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს ჟურნალ "განთიადის" რედაქციაში. გამოქვეყნებული აქვს რომანი "ანამაისი", მეორე რომანი კი "პეპლობის თვე" აგერ ჩვიდმეტი წელია უცდის დღის შუქს (ადრე ზედმეტად თამამ ნაწარმოებად თვლიდნენ, ახლა კი ფინანსური ბარიერია აღმართული).*

*წერს ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკულ წერილებს, ქმნის მელოდიებს გაძლების ხელოვნებასაც.*

***

თავის ქალიდან ღრუბლებს
მიდენი:
არ მოვა წვიმა და აღარ უცდი
და გაგონდება მარტინ იდენი –
შენზე ამაყი და შენზე სუსტი.
თუკი ჰოროსკოპს ყავლი გასვლია,
ქვეყნად გერივით რისთვისღა დახვალ,
მკერდი მიუპყარ და დაგახლიან,
არ დაგამადლის არავინ ლახვარს.
ძველი რიხისგან რაც შეგრჩენია,
ყვავს არ ეყოფა უკვე სადილად,
ადამიანი რომ ხარ, გრცხვენია,
მაგრამ ვერ იქეც მაინც ნადირად.
ოცდაცამეტი წლისა ხარ რაკი,
ევანგელური ჟამი დარეკავს,
გამოიყენე შენი ასაკი,
სხვის სათამაშო ჯვარზე გაეკარ.
მაგრამ იღბალი სიკვდილსაც ახლავს,
გმირულ პოზაში ვის დასჭირდები,
შენ ვერ მოკვდები სწრაფად, ამაყად,
მხოლოდ ნელ-ნელა დანახშირდები.
და სინანულით გახედავ ნაპირს,
როცა ქარონის ნავი მოდგება,
შენზე სუსტი და შენზე ამაყი
მარტინ იდენი მოგაგონდება.

## დალის ლექსი

დუმილი სამარეა
ავადგაყინულ ზვავში,
მიშველე ლამარია
მე გევედრები ბავშვი.

თოვლის ავაზად შვენი,
დამიყვავებდე სტუმარს,
ფუნთუშა თათი შენი
თავზე დამადე ჩუმად.

ზღვას რას დააკლებს ქარი,
მე ნაფოტი ვარ ზღვაში
და გულში ჩამიკარი
გარდაცვალების ახლოს,
ჩემი სულია ქარი
ჩემო დედავ და სახლო

თოვლისა მქონდა თურმე
გადაუხდელი ვალი,
ეს მე ვკვდებოდი დალი
და ზეიმობდა თოვა,
ნეტავ მქონოდა ბრალი
ნეტავ მცოდნოდა გლოვა

დ უ მ ი ლ ი ს ა მ ა რ ე ა
თ ო ვ ლ ი ს ა ვ ა ზ ა დ მ შ ვ ე ნ ი,
ზ ღ ვ ა ს რ ა ს დ ა ა კ ლ ე ბ ს ქ ა რ ი
თ ო ვ ლ ი ს ა ვიყავ თურმე
წითელთმიანი ქალი

ა ვ ა დ გ ა ყ ი ნ უ ლ ზ ვ ა ვ შ ი
დ ა მ ი ყ ვ ა ვ ე ბ დ ე ს ტ უ მ ა რ ს,
მ ე ნ ა ფ ო ტ ი ვ ა რ ზ ღ ვ ა შ ი
შენი ხელები სდუმან

მ ი შ ვ ე ლ ე ლ ა მ ა რ ი ა,
ფ უ ნ თ უ შ ა თ ა თ ი შ ე ნ ი
მკერდზე შემახე ჩ უ მ ა დ

## მძიმე მარხვა

მძიმე მარხვაა
ჩემს მშიერ სულს მძიმედ ბარდნიან გალაქტიკები
ზეცის უფსკრულთაგან ჩამოქცეულნი
მძიმე მარხვაა
თავს ავუკრძალე საზრდო –
შენი მოსმენა და შენი ცქერა ელორა
მძიმე მარხვაა
და მძიმეა აწ გარდასული საუკუნის წყეული ლანდი
ჯერაც რომ ყბებით ჩაჰფრენია ჩემს მორჩილ სხეულს
მძიმე მარხვაა
ამ მძიმე მარხვაში ვარ დამარხული
შორით მოჩანს
კიპარისებში მოცრიატე ტაძრის გუმბათი
შენი ტაძარი შენი ბუდე – სადაც შენ გალობ ელორა
მძიმე მარხვაა
ჩემში უფსკრულინი მშობიარობენ
აღდგომის წინაშე წყვდიადთა გმინვაა
ვერ გისმენ ვერ გხედავ ელორა ელორა
მე ვარ კოლაპსი
მე უნათლობის ზღვარი ვარ
მე უშენობის მაქსიმუმი ვარ ელორა
მძიმე მარხვაა
მხოლოდ დუმილის შავი ხმა წიწინებს
არარსი სუნთქავს უსაზღვროებას
და რამდენადაც ახლოვდება
იმდენად შორეულდება აღდგომის ნათელი
იმდენად მძიმდება
უშენობის უსასრულობა
მძიმე მარხვაა
მძიმე საშინელი კვირაა
ვერ გისმენ ვერ გხედავ ელორა ელორა



დაჭრილ-დაჩეხილი საქართველო



## საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ა.წ. 15 აპრილს რუსეთის ტელეკომპანია "ტვც"-ზე ცნობილი ჟურნალისტის ანდრეი კარაულოვის საავტორო პროგრამით გამოსვლისას, საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ი. გიორგაძემ დაადასტურა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ფუძემდებლის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობა განახორციელა საქართველოს მაშინდელმა (იგივე დღევანდელმა) ხელისუფლებამ სპეცსამსახურების გამოყენებით.

ლეიბორისტული პარტია ქვეყნის გენერალური პროკურატურისაგან მოითხოვს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით შეჩერებულ საქმეზე გამოძიების დაუყოვნებლივ განახლებას, იმ დამნაშავეთა კონკრეტულად გამოაშკარავებას, ვინც ამ ბოროტმოქმედებით ჩაიდინა საუკუნის და არა მარტო საუკუნის ცოდვა ერის წინაშე.

## სურათები ქვის ხანის ციკლიდან დე ფაქტო ხელისუფლების მიხედვით (თემები მოამზადა ნ. ბართაიამ)



-რატომ დაუყრია ეს ქვები სახლის წინ?
-კენჭი უნდა იყაროს დეპუტატობაზე



ეს გამოქვაბულიც სიდედრის სახელზე გაქვს გაფორმებული?

-რა ხდება?
-საზღვარგარეთიდან აღებული ჩვენი ტომისთვის განკუთვნილი კრედიტებს მიეზიდებიან უცხოეთის ბანკებში, პირად ანგარიშზე შესატანად



**ნკიმაცი**



ჭიჭიკიას ძაღლმა უკბინა.
შარვალი გაგიხია? - შეიცოდა ბიჭიკიამ
- არა, ბიჭო, ამიკაპიწა და ისე მიკბინა.

თვითმფრინავი ქუთაისის აეროპორტში დაეშვა. კარები გაიღო, მაგრამ ტრაპი არა და არ მოაგორეს. ხალხი ნერვიულობს.
- ნუ წუხხართ მეგობრებო - ამშვიდებს მათ აეროპორტის მოსამსახურე ჭიჭიკია: - ტრაპი ბიჭიკიას ვათხოვე, მსხალს კრეფს, საცაა დაამთავრებენ და მოვიტანთ

თეთრ ხიდზე დგანან უმუშევრობით დაღლილი ბიჭები და გასართობს ეძებენ, გამოიარა ებრაელმა და წყალს ჩაჩერებულ ახალგაზრდებს ჰკითხა:
- რას უყურებთ?
- ბაჯაღლოს ჯაჭვი და ბრილიანტის ბეჭდები გადაგვივარდა. ებრაელი მაშინვე ხიდიდან გადახტა. მოდის რუსი და იგივეს კითხულობს.
- არაყის ბოთლი წყალში გადაგვივარდა? რუსიც ებრაელს მიჰყვა. ბოლოს მოდის ჭიჭიკია:
- რას გაშტერებულხართ?
- ბიჭო, ხიდიდან გვინდა გადავხტეთ და ვიბანაოთ, მაგრამ მთავრობას აუკრძალავს?

- ვინ ეკითხება, ბიჭო მთავრობას, თეთრი ხიდიდან გადახტომას - იყვირა ჭიჭიკიამ და წყალში ისკუპა.

**დიასახლისი**



### მწვადის ჩახოხბილი

ერბოში მოვხრაკოთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, დავამატოთ წყალი ან ბულიონი, ძმარი. ჩავალაგოთ შემწვარი მწვადი, დავახუროთ თავსახური და მოვშუშოთ ნელ ცეცხლზე.

ჩახოხბილი შეიძლება მომზადდეს სითხის გარეშე. შემწვარი მწვადი მოვათავსოთ ქვაბში, დავუმატოთ დაკეპილი ხახვი, დავახუროთ თავსახური და გავაჩეროთ ნელ ცეცხლზე.

მასალა: ხორცი - 1 კგ.
ერბო - 2 ს—კ
ხახვი - 4-5 თავი
ძმარი - 1—4 ჩაის ჭიქა
ბულიონი ან წყალი - 0,5 ჩაის ჭიქა
მარილი გემოვნებით

### ნაყინი

3 კვერცხის გულს დავაყაროთ 1,5 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, ვანილი და გავაკეთოთ გოგლი-მოგლი ნელ-ნელა დავასხათ 3 ჩაის ჭიქა მდუღარე რძე, შევდგათ ცეცხლზე და ვადუღოთ, სანამ ზედაპირიდან ქაფი გაუქრება. გადმოვდგათ ცეცხლიდან, გავატაროთ საცერში ან დოლბანდში, გავაცივოთ, კარგად მოვურიოთ და ფორმებში ჩავასხათ.
შევდგათ საყინულეში.

### ნაყინი ნიგვზით

ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი მოვხალოთ ტაფაზე, მოვაცილოთ კანი, დავჭრათ წვრილად და კიდევ მოვხალოთ. შემდეგ დავნაყოთ, ჩავყაროთ ცხელ რძეში და ერთხელ წამოვადუღოთ. ნიგვზიანი რძე ოდნავ გავაცივოთ, შიგ ჩავურიოთ წინასწარ მომზადებული კვერცხის გოგლი-მოგლი, ვთქვიფოთ 20-25 წუთის განმავლობაში, შემდეგ გავყინოთ ჩვეულებრივი წესით.

**ექიმი**



### გულის დაავადებები

1. ერთი ლიტრი თაფლი (მაისის), 10 ცალი ლიმნის წვენი, 10 თავი ნიორი (ფაფასავით დანაყილი). ყველაფერი ეს ავურიოთ ერთად და ერთი კვირით დავდგათ დახურული ქილით (დრო და დრო შევანჯღრიოთ). მივიღოთ 4 ჩაის კოვზი ერთხელ დღეში, მაგრამ არ გადავყლაპოთ უცებ, არამედ აუჩქარებლად, ნელ-ნელა. მივიღოთ ყოველდღე 2 თვის განმავლობაში.

ამ რეცეპტით განკურნებულან ისეთი ღრმა მოხუცებიც კი, რომელთაც შესვენების გარეშე არ შეუძლიათ გადადგან 50 ნაბიჯი.

2. დავნაყოთ 350 გრ. ნიორი, დაუმატოთ 24 ლიმონიდან გამოწურული წვენი და მოვათავსოთ ფართოყელიან ქილაში, დავახუროთ გამჭვირვალე ქსოვილი, გავაჩეროთ 24 საათი.

მიღებისას შევანჯღრიოთ. მივიღოთ დღეში ერთხელ ძილის წინ 1 ჩ—კ ნარევი 1—2 ჭიქა წყალზე, დავურიოთ და დავლიოთ. 10-15 დღის შემდეგ ავადმყოფი იგრძნობს სიმხნევეს, დაღლილობის მოხსნას, კარგ ძილს, გაქრება ქოშინი, გულის ტკივილი.
ზემოთ მოყვანილი რეცეპტები იწვევს სისხლის განმენდას, გულსისხლძარღვთა დაავადებათა განკურნებას, ადამიანი თითქმის გაახალგაზრდავდება, ამიტომაც ამ წამლებს გაახალგაზრდავების ელექსირსაც უწოდებენ.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

რედაქტორთა საბჭო:
გიორგი აფრიდონიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ონისე ბანძელაძე(ლიტერატურა), ეკა დადიანი(მეცნიერება), მანანა ტაბიძე (ლისუკია), ილია ჭრელაშვილი(მხატვრობა) ლელა ხაჭაპურიძე(სხვადასხვა ამბები)

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, კუპრაძის 32
ტელ.: 8 231 21603
8 22 221587, 8 77 476905
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში
N 12/5/ე-4818